ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სალომე ზურაბიშვილი: „ნუ გეშინიათ, რას იზამენ, ნებისმიერ კანონს, რომელიც არ იქნება თანხვედრაში ევროპულ გზასთან, დავადებ ვეტოს“



გვ.4

პარასკევი, 10 მარტი, 2023

№49 (9085)

ფასი: 80 თეთრი

# „ოცნებისგან ყოველ წუთს არის მოსალოდნელი „გადაგდება“



მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნება“ დაშლილია და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ეს ივანიშვილის მხრიდან ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა“



გვ.3





## „ამ ხელისუფლებისგან ათასგვარ საშინელებას კიდევ უნდა ველოდოთ“

გვ.4



მამუკა გიორგაძე: „კანონპროექტის უკან გაწვევა დადებითი მოვლენაა, მაგრამ ხელისუფლებას რომ საკუთარი შეცდომებიც ეღიარებინა, ლამაზი დილა გაგვითენდებოდა“

## „ქართულმა ოცნებამ“ და ე. წ. ხალხის ძალამ სჯობს თვითლიკვიდაცია გამოაცხადონ“



გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ეს არის პუტინის პირდაპირი დავალება, ამიტომ „ქართული ოცნება“ გამოიყენებს აბსოლუტურად ყველა მეთოდს იმისთვის, რომ ეს კანონი არ იქნას ჩაგდებული“

## შსს-ს ინფორმაციით, 7-8 მარტს პოლიციამ 133 პირი დააკავა

გვ.5

„უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ნიადაგზე, ქვეყანაში შემოტანილ იარაღს ეძებდნენ“ — ჩხრეკა ბესო გაზდელიანის სახლში



გვ.5

1993230720223

**2** ნინო ლომჯარია: „ხალხის ძალამ“ შეიცვალოს სახელი და დაირქვას „ხალხის სირცხვილი“

**3** ნიკა გვარამია: „ივანიშვილი სტრატეგიული სულელია, მაგრამ ტაქტიკური გენიოსი“

**3** აშშ-ის საელჩო: „დაჟინებით მოვუწოდებთ მმართველ პარტიას, რომ ოფიციალურად უარყოს ეს კანონპროექტები და აღარ მიჰყვეს ამ ტიპის კანონმდებლობას“

**6** აშშ-ის დაზვერვა რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ

# „ქართულმა ოცნებამ“ და ე. წ. ხალხის ძალამ სჯობს თვითლიკვიდაცია გამოაცხადონ“

## ლელა ჯეჯელავა: „ეს არის პუტინის პირდაპირი დავალება, ამიტომ „ქართული ოცნება“ გამოიყენებს აბსოლუტურად ყველა მეთოდს იმისთვის, რომ ეს კანონი არ იქნას ჩაგდებული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



***– ქალბატონო ლელა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უკან დაიხია და კანონპროექტი უკან გაიწვია. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. თუმცა უმრავლესობას ჰგონია, რომ მათი ნდობა არ შეიძლება, შესაძლოა, ეს დაგებული მახე იყოს. როგორია თქვენი შეფასებები იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც ამ კვირის განმავლობაში ვითარდებოდა?***

– იცით რა, მეც იმ ადამიანების რიცხვს ვეკუთვნი, რომლებსაც ეს მცირე ტაქტიკური უკან დახევა „ქართული ოცნებისა“, არ შეიძლება მიაჩნდეს საზოგადოების გამარჯვებად, რადგან მან რამდენიმე ხაფანგი ამ კანონპროექტთან დაკავშირებით უკვე დააგო. პირველი ის იყო, როდესაც დააანონსა, რომ 9 მარტს უნდა ყოფილიყო პლენარულ სხდომაზე გატანილი პირველი მოსმენით და შემდეგ ჩუმად, ქურდულად, გაიტანეს 7 მარტს. ეს იყო პირველი მცდელობა საზოგადოების მოტყუებისა. ჩვენ ვიცით, რომ მათი ტაქტიკა არის ასეთი, რომ მიიღონ მაქსიმუმი. არ არსებობს წითელი ხაზები, რომელსაც არ გადაკვეთენ, არ არსებობს ის უძლეველი ბარიერი დაცემისა, რომელსაც ისინი ვერ გადალახავენ. ამიტომ ახლა ეს არ არის ეიფორიის მიზეზი ჩვენი საზოგადოებისა, პირიქით, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ „ქართული ოცნებისაგან“ წინ კიდევ ბევრი მსგავსი სიურპრიზი გველის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორი სტრატეგია და ტაქტიკა ახლა ოპოზიციისა და საზოგადოების და განსაკუთრებით ამ ახალგაზრდობის ერთიანობისათვის. სულ რაღაც, პატარა მორალურობის მარცვალი რომ არსებობდეს, „ქართული ოცნებისთვის“ და ე. წ. ხალხის ძალისათვის, მათ უნდა გამოაცხადონ თვითლიკვიდაცია. ეს დღეებია საზოგადოებაში გაფორმდა ნამდვილი ხალხის ძალა და ეს არის ჩვენი ახალგაზრდობა. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ პოლიტიკური პროცესების წარმმართველნი იქნებიან არა პოლიტიკოსები, არამედ იქნებიან სწორედ ეს ახალგაზრდები!

***– გაისმა უკვე მოწოდებები, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიო. თუმცა აზრი ორად იყოფა და პოლიტიკოსების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ბიძინას წისქვილზე დაასხამს წყალს, რადგან ბარიერი არ დაწეულა, ისევ „ოცნება“ გაიმარჯვებსო. ამაზე რას ფიქრობთ?***

– მე არ ვიზიარებ პოლიტიკოსების მოსაზრებას. „ოცნება“ მობრუნდებოდა იმ შემთხვევაში, ვადამდელი არჩევნების პირობებში, აი ეს რეალობა რომ არ იდგეს დღეს. ეს ახალგაზრდები, რომლებიც აუცილებლად ჩაერთვებიან საარჩევნო პროცესში. თუ ვადამდელი არჩევნები დადგა, ეს მხოლოდ მათი გამარჯვების შედეგი იქნება, შესაბამისად, „ოცნებას“ უკვე ნულოვანი შანსი აქვს ხელისუფლებაში დარჩენის. ერთადერთ შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც აქვთ შანსი დარჩნენ ხელისუფლებაში, ეს არის მცდელობა, პოლიტიკოსებმა მიიღონ გადაწყვეტილება, ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც, ეს ახალგაზრდები თავისი მიზნებისთვის გამოიყენონ. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არც ერთ მხარეს არ გამოუვა.

***– სწორედ ეს მინდოდა რომ მეკითხა, რამდენად გააფუჭებენ პროცესს პოლიტიკოსები?***

– მცდელობა ნამდვილად იქნება. თუ რამე გამეგება და რამე მგრძნობელობა მაქვს პოლიტიკური საკითხების, მინდა გითხრათ, რომ ამ ახალგაზრდებთან ეს აღარ გამოვა. ეს ის თაობაა, რომელიც მიტინგებზე არ დადიოდა. ეს ის თაობაა, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობდა და, შესაბამისად, მე სულ ვამბობდი და გუშინ დავრწმუნდი, ამ ახალგაზრდებმა პირველად იგრძნეს ადრენალინი საკუთარი სამშობლოს დასაცავად თავგანწირვა. ამიტომ ახლა ეს ადრენალინი აღემატება ყველა პოლიტიკოსის მცდელობას, რომ ამ ბავშვებს უკან დაახევინონ.

***– ამის მცდელობა იყო გუშინდელ აქციაზე და ვნახეთ, გიორგი ვაშაძემ რამხელა კრიტიკა დაიმსახურა. ცდილობენ, მართონ ახალგაზრდების პროტესტი?***

– ვერ გეტყვით, რამდენად ერევიან. მე ვერ ვხედავ პოლიტიკოსების წვლილს და როლს ამ პროცესებში.

***– რამდენად იყო პროვოკაციული მოწოდება, რომ ალყა შემოერტყათ პარლამენტისთვის?***

– ეს ნამდვილად არ იყო მიზეზი აქციის დარბევისთვის. ვაშაძის ამის გამო დამუნათება, მე არ მგონია, მაინცდამაინც სწორი იყოს. როგორც ჩანს, მათ არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ ამხელა აზვირთებულ მუხტთან, მათ აქვთ პასუხისმგებლობა, ამას გრძნობენ ნამდვილად, რომ ეს პროტესტი უმართავ პროცესებში არ გადაიზარდოს. შესაბამისად, მცდელობა იმისა, რომ რაღაცნაირად დაიცვან ეს ბავშვები, მათ ექნებათ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ დღეს ამ ბავშვების ალღო და ინტუიცია გაცილებით სწორ ვექტორს აჩვენებს, ვიდრე პოლიტიკოსების დიდი გამოცდილება.

***– არის შანსი, ბოლოს და ბოლოს გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან და დაიბადოს ახალი, ჯანსაღი ძალა?***

– ამ ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი, ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ ამხელა ტვირთი ავკიდოთ. მათ ეს ტვირთი მხოლოდ ერთი რამის გამო წამოიკიდეს, მათ ისეთ ქვეყანაში უნდათ ცხოვრება, როგორსაც იმსახურებენ, მათ უნდათ ევროპული მომავალი. შესაბამისად, ეს ახალგაზრდები რომ ქვეყნის სადავეებთან მივუშვათ, ამის გამოცდილება არა აქვთ. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსების გამოცდილების და ამ ბავშვების ენთუზიაზმის, გულწრფელობის და ენერგიის სინერგია მოხდეს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

***– ქალბატონო ლელა, რას იზამს „ქართული ოცნება“? კონსტიტუციონალისტები ამბობენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი ჯერ ვენეციის კომისიიდან უნდა გამოიწვიონ, შემდეგ მეორე მოსმენით უყარონ კენჭი და ჩააგდონ და მერე გამოიხმონ უკან.***

– დიახ, რასაკვირველია, კონსტიტუციონალისტებმა, პოლიტიკოსებმაც, ამ ბავშვებისგან განსხვავებით, ზუსტად იციან, რომ „ქართული ოცნება“ გამოიყენებს აბსოლუტურად ყველა მეთოდს იმისთვის, რომ ეს კანონი არ იქნას ჩაგდებული. იმიტომ, რომ ეს არის პირდაპირი დავალება პუტინის. ამ კანონის მიღების გარეშე, მისთვის წარმოუდგენელია საქართველოს გაფორმება და იმ პროექტში მონაწილეობა, რომლისთვისაც ახლა ჩვენ გვამზადებს რუსეთი. ეს არის საქართველო-რუსეთ-ბელორუსიის და სომხეთის კავშირი. ასე რომ, წინ გვაქვს ძალიან დიდი ხიფათები, დიდი რისკები, რომელიც უნდა იყოს სკურპულოზური სიზუსტით აწონილი. იმის ნდობა, რომ უკან დახევა მოხდა და პროცესი დასრულებულია, ეს არის სრულიად წარმოუდგენელი. ამ ბავშვებს სწორად უნდა აუხსნან ის ხიფათები და რისკები, რომელიც მათ ელოდება გზაზე.

***– თქვენთვისაც ცნობილია, რომ პრემიერ-მინისტრი არ იმყოფება ქვეყანაში, ბერლინში წარადგენს ჩვენს ქვეყანას. უნდა შეეწყვიტა თუ არა ვიზიტი და დაბრუნებულიყო, როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე ვითარებაა?***

– რასაკვირველია, პრემიერ-მინისტრი ასეთ დროს ქვეყანაში უნდა ყოფილიყო, თუ მას თავი პრემიერ-მინისტრად მიაჩნია და პირველ პირად, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნებოდა ირაკლი ღარიბაშვილი?! მას ვინმე რამეს ეკითხება საერთოდ?!

***– ბიძინა ივანიშვილისგან წამოვიდა ინსტრუქციები?***

– რასაკვირველია. რა მნიშვნელობა ჰქონდა, სად იქნებოდა ღარიბაშვილი. მთავარია ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები მუდმივად ხაზზე არიან ივანიშვილთან, სწორედ ისინი იყვნენ მთავარი და გადამწყვეტი. ასევე, პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, რომელიც ადგილზე იყო.

***– გადაყვება ვინმე ამ პროცესებს? სჭირდება დღეს ივანიშვილს განტევების ვაცი?***

– ცოტა რთულია პროგნოზირება. თუმცა, ჩემი აზრით, ეს იყო ტესტი ივანიშვილისთვის. დაიწყეს უკვე განცხადებები, რომ საქართველოს კურსი არ შეუცვლია და ა. შ. თუმცა არის ერთი მაგრამ, ამ კურსს ეს ძველი შემადგენლობა ველარ მოემსახურება. განსაკუთრებით ირაკლი კობახიძე და კიდევ ვილაც-ვილაცები. ამიტომ მე ველი, რომ ცვლილებები იქნება.

## ნინო ლომჯარია: „ხალხის ძალამ“ შეიცვალოს სახელი და დაირქვას „ხალხის სირცხვილი“



– სადაც რუსული პროპაგანდით საქართველოს მოქალაქეებისთვის ტვინის გამოსარეცხად მიხვალთ, ყველგან ნამდვილი ხალხის ძალა დაგხვდებათ, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ აქციაზე განაცხადა.

როგორც მან პარლამენტის მიმდებარედ მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რუსული კანონი საქართველოს პარლამენტში არც ერთი დღე არ უნდა იყოს.

მისივე თქმით, აქციის ერთ-ერთი მოთხოვნაა, უკანონოდ დაკავებული 133 მოქალაქე დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ.

– საქართველოს ამაყო მოქალაქეებო! გუშინ ჩვენ ამ სცენაზე ვიდექით და ვამბობდით – „არა რუსულ კანონს!“ დღეს ხელისუფლებას მოუწია, ამ კანონზე უარი ეთქვა. ეს თქვენი პირველი გამარჯვებაა, მადლობა ამისთვის. ჩვენი 133 თანამოქალაქე აქციაზე მშვიდობიანად იდგა, ვიდრე მათ წინააღმდეგ არალეგიტიმური ძალა არ გამოიყენეს. ისინი დღეს დაკავებულები არიან. დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ ყველა დაკავებული! არავინ დავიშლებით, ვიდრე დღესვე, ყველა მოქალაქე თავისუფალი არ იქნება. მეორე მოთხოვნაა, ამ საზიზღარი რუსული კანონის გაუქმებას, დაუყოვნებლივ ეყაროს კენჭი. ეს რუსული კანონი საქართველოს პარლამენტში არც ერთი დღე არ უნდა იყოს. მე ჩემს პირად მოთხოვნასაც დავამატებდი. „ხალხის ძალამ“ შეიცვალოს სახელი და დაირქვას „ხალხის სირცხვილი“. ხალხის ძალა ხართ თქვენ! ახლა გვეუბნებიან, რომ აპირებენ გაშალონ ფრონტი, იარონ საქართველოს მოქალაქეებთან და დაარწმუნონ, რომ რუსული კანონი კარგია. უკეთესი პროპაგანდა უნდა გვქონდესო. სადაც რუსული პროპაგანდით საქართველოს მოქალაქეებისთვის ტვინის გამოსარეცხად მიხვალთ, ყველგან ნამდვილი ხალხის ძალა დაგხვდებათ. თქვენ ქართველი ხალხის სირცხვილი ხართ.

ჩვენ, ქართველი მოქალაქეები კანდიდატის სტატუსს მივიღებთ. მთელ მსოფლიოს დავანახეთ, როგორი ევროპელები ვართ და როგორ ვიბრძვით თავისუფლებისთვის, რომელზეც ევროპული ერთობა დგას. ჩვენ ევროპაში ღირსეულ ადგილს დავიმკვიდრებთ.

წარმატება! გავიმარჯვებთ! – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

## კახა კალაძე: „ქართულ ოცნებას“ არასდროს გადაუხვევია არც ევროპული არჩევანის და არც ფუნდამენტური ღირებულებებისთვის“



– კანონპროექტების უპირობო გაწვევით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი მთავარი ღირებულება ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობაა, მიზანი კი, გაერთიანებული სამშობლოს მშვიდობიანი და ევროპული მომავალია, – ამის შესახებ თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წერს და ეხმაურება გადაწყვეტილებას ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტის გაწვევის შესახებ.

კალაძის თქმით, „ქართულ ოცნებას“ არასდროს გადაუხვევია არც ევროპული არჩევანის და არც ფუნდამენტური ღირებულებებისთვის.

ამასთან კალაძე იზიარებს „ლეგიტიმურ მოსაზრებას“, რომ კანონპროექტების რეალური მიზნების გარშემო შექმნილი გაურკვევლობა ხელისუფლების პასუხისმგებლობაა და მეტად უნდა ეზრუნათ, რომ „სიცრუის ნიაღვრის ფონზე, სიმართლე“ მოქალაქეებამდე უფრო გასაგებად მიეტანათ.

– ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობა ქართველი ხალხის ულტერნატივო არჩევანია. პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტების გარშემო შექმნილმა დეზინფორმაციის კამპანიამ საზოგადოების ნაწილში კითხვის ნიშნები გააჩინა, დაბნეულობა და ვნებათაღელვა გამოიწვია, რის გამოც გულწრფელი მოქალაქეები ევროპული მომავლის სასარგებლოდ საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად ქუჩაში გამოვიდნენ. რა თქმა უნდა, ვიზიარებთ ლეგიტიმურ მოსაზრებას, რომ კანონპროექტების რეალური მიზნების გარშემო შექმნილი გაურკვევლობა ხელისუფლების პასუხისმგებლობაა და მეტად უნდა გვეზრუნა, რომ სიცრუის ნიაღვრის ფონზე, სიმართლე რიგით მოქალაქეებამდე უფრო გასაგებად მიგვეტანა.

საბედნიეროდ შევძელით, რომ საზოგადოების, გულანთებული ახალგაზრდების პროტესტი ქაოსსა და გამოუსწორებელი ზიანის მომტან დაპირისპირებაში არ გადაიზარდა, რაც კეთილსინდისიერი მოქალაქეების, სამართალდამცველების, პასუხისმგებლიანი ხელისუფლებისა და ეკლესიის, ჩვენი ყველას დამსახურებაა.

მადლობა ყველას, ვინც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ცივილური ფორმებით იყენებდა და დესტრუქციულ ძალებსა თუ ცალკეულ პირებს რადიკალიზაციის საშუალებას არ აძლევდა. მადლობა შს მინისტრსა და სამართალდამცველებს, რომლებმაც კანონის უზენაესობის, ევროპული ოჯახის ფუნდამენტური ღირებულების დაცვა მაღალი პროფესიონალიზმით უზრუნველყვეს. მადლობა ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრებსა და მხარდამჭერებს, რომლებმაც მასშტაბური ბულინგისა და უსაფუძვლო შეურაცხყოფების კასკადს ღირსეულად გაუძლეს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას არასდროს გადაუხვევია არც ევროპული არჩევანის და არც ფუნდამენტური ღირებულებებისთვის, ყოველთვის უსმენდა და ითვალისწინებდა ხალხის სამართლიან ნებას, რაც მომავალშიც ასე გაგრძელდება. კანონპროექტების უპირობო გაწვევით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი მთავარი ღირებულება ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობაა, მიზანი კი, გაერთიანებული სამშობლოს მშვიდობიანი და ევროპული მომავალია.

ყველანი ერთად და ღირსებით ევროპისკენ! – წერს კალაძე.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგიაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებისგან ყოველ წუთს არის მოსალოდნელი „გადაგდება“

## მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნება“ დაშლილია და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ეს ივანიშვილის მხრიდან ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა“

ნათია ხურცილავა

*„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.*

***— ბატონო მურმან, მდინარაძის განცხადების შემდეგ, რომ კანონპროექტს უკან გაიწვევენ, იურისტებმა განმარტეს, რომ განცხადებით არ ხდება გაწვევა და საჭიროა სესიის მოწვევა, სადაც კანონპროექტს კენჭისყრაზე ჩააგდებენ. შეიძლება ტაქტიკური სვლაა და ემოციების ჩაცხრობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ?***

— არაფერი არ არის გამორიცხული. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება „ქართულ ოცნებას“. მათ დაპირებებს ჩალის ფასიც არა აქვს. ეს საზოგადოებამ შესანიშნავად იცის. აქ მთავარი სხვა რამეა. „ქართულ ოცნებას“ არა აქვს ლეგიტიმაცია. ის ნიჩაბზე დევს. ერთი პატარა ბიძგი და ნიჩბიდან დასრიალდება. ამ დღეების პროტესტმა ეს აჩვენა. ხალხს არ აინტერესებს ხელისუფლება. რა? როგორ? მას ერთადერთი, ამ ქვეყნის მომავალი აინტერესებს.

კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ დღეებმა გამოავლინა, გაირკვა, რომ ქვეყნის ბედზე, მისი მომავალზე ზრუნვა ახალგაზრდებს 22-25 წლის გოგო-ბიჭებს აქვთ აღებული ხელში. ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი ამ დღეებმა. პოლიტიკურად „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გარდაცვლილია. ძალიან მცირე დროის ამბავია და ეს გაფორმდება.

***— როგორ ფიქრობთ, გაწვევის შესახებ გადაწყვეტილება ივანიშვილმა მიიღო?***

— რა თქმა უნდა. აქ ორი აზრიც კი არ არის. პირადად ივანიშვილმა. თუ კობახიძე გვარწმუნებდა, რომ ვენეციის კომისიიდან მიიღებდნენ დადებით დასკვნას სამ თვეში, მერე ხალხს აუხსნიდნენ, რომ მხოლოდ კარგი უნდათ ამ ქვეყნისთვის და ამ ხალხისთვის, ახლა რა ხდება, ახლა ცუდი უნდათ?! ან ვენეციის კომისიას რას ეუბნებიან. უკვე რომ გაუგზავნეს წერილი, უკან ვიწვევთ კანონპროექტს და დასკვნა არ გვჭირდებაო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

სიმართლე გითხრათ, მე ეს კანონპროექტი საერთოდ არ მაშინებს. თუ უნდა ივანიშვილს, ყველა ჩვენგანის დახვრეტის შესახებ კანონი მიიღოს. ყველა იმ ადამიანის დახვრეტა გადაწყვიტოს, ვისი სახელიც მ-ზე იწყება და გვარი დ-ზე, მაგრამ აქ საშიშროება სულ სხვა რამეა. ქვეყნის პროდასავლური კურსი უნდა შეცვალონ, ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას უნდა გადახედონ. ამიტომ არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლება საშიში. კანონი „აგენტების შესახებ“ მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება. არავის არაფერშია აინტერესებს გამჭვირვალობა. ეს ისედაც რეგულირდება სხვადასხვა კანონებით. ეს არ არის პრობლემა. პრობლემა არის ქვეყნის დასავლური ორიენტაციიდან გადახვევა მკვეთრად ჩრდილოეთისკენ. ამიტომ, მგონია, რომ ეს თუ ამ კანონით არ გაკეთდება, სხვა კანონითა და სხვა ქმედებით გაკეთდება. აქ ვხედავ მე პრობლემას და საფრთხეს.



მე ვესწრებოდი მიტინგს რუსთაველის გამზირზე. ქუჩაში გამოსული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა 20-დან 25 წლამდე იყო. სრულიად ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იცავდნენ ქვეყნის ღირსებას, ქვეყნის მომავალს. ამ ახალგაზრდებმა არ იციან, რა არის საბჭოთა კავშირი, მაგრამ იციან, რა არის დასავლეთი, იციან ევროპა და ამერიკა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდები ამ ქვეყანას არავის არ დაუთმობენ. ეს არის გამარჯვება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ნებისმიერ წუთს არის მოსალოდნელი „გადაგდება“. არ გაუკეთებია თუ რა?!

***— შეიძლება დროს იგებდნენ?***

— არაფერს არ გამოვრიცხავ.

***— ასეთი პროტესტის შემდეგ გაბედავენ?***

— მთელ დასავლეთს, ევროკავშირს გაუბედეს და ამ ახალგაზრდებს რომ გაუბედონ, რა?! შარლ მიშელი გადააგდეს, მთელი ევროკავშირი „გადააგდეს“. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავდივართო და მერე რაც გააკეთეს, ხომ გახსოვთ. ირაკლი კობახიძე რომ გამოვიდა თქვა, შეთანხმებიდან გავდივართო, ესეც ხომ გახსოვთ.

ყველაფერი მოსალოდნელია, რადგან პრორუსი ხელისუფლება ღიად და საჯაროდ ვერ გაბედავს თქვას, რომ კურსს ცვლის. ამ ქვეყნის არჩევანს — პროდასავლურ, ჩრდილოატლანტიკურ კურსს ცვლის. საგარეო ვექტორის ცვლილებაზე ასე ღია განცხადებას, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა და ამას ემსახურებოდა ეს კანონიც. თუმცა, ჯერ არაფერი არ დასრულებულა.

***— კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა სეფაშვილმა განაცხადა, რომ ემოციები როდესაც ჩაცხრება, ხალხს ავუხსნითო.***

— დიახ, ცხადია, შეეცდებიან, რომ კვლავ იძალადონ, კვლავ შემოგვტენონ ეს კანონპროექტი, რომ პუტინს ასიამოვნონ, მაგრამ ერთიც კია, ივანიშვილს ორი რამის ეშინია: ახალგაზრდების, ქართველი ხალხის რისხვისა და პუტინის. ამიტომ ვამბობ, რომ მას წინ წყალი და უკან მეწყერი აქვს. ყველაზე ჭკვიანური ახლა მისი მხრიდან იქნება, ოფიციალური განცხადება გააკეთოს, რომ „ქართული ოცნება“ დაშლილია და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ვიმეორებ, ეს ივანიშვილის მხრიდან ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა.

# ნიკა გვარამია: „ივანიშვილი სტრატეგიული სულელია, მაგრამ ტაქტიკური გენიოსი“



„რა იქნებოდა დღევანდელ გადაცემაში ჩემი მონოლოგი“ — „მთავარი არხის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულების 212-ე საკიდან წერილს ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

რა იქნებოდა დღევანდელ გადაცემაში ჩემი მონოლოგი:

იმ ხმის მიმცემ 78-ს და ყველა მათნაირს არ უნდა გაუნელდეთ იმის შეგრძნება, რომ პოლიტიკური გვამები და სოციალური პარტიები არიან.

არანაირი გამარჯობა

არანაირი მადლობა

არანაირი ბოდიში

სულ უნდა გრძნობდნენ, რომ ყველამ იცის ვინ არიან ისინი და სადაა მათი ადგილი.

დაუმორჩილებლობა, ართანამშრომლობა და თავხედური გამბედაობა — ზუსტად ესაა ამ აქციების გამარჯვების ფორმულა და ასე უნდა მოვიქცეთ ყველა, ვისაც მართლა გამარჯვება გვინდა შედეგად და არა პროცესი, როგორც გამარჯვება.

არავითარი რუტინა, არავითარი Business as usual.

ყველას მოვუწოდებ, ყველაზე გულწრფელი აღშფოთებაც კი ათასჯერ აწონ-დაწონოს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვას საჯაროდ. არავის გაუცხოვება არ შეიძლება, არვინ არაა გასარიყი თუ დასაკარგი. ყველაფერს უნდა შევხედოთ მონოლითური ერთიანობის კუთხიდან და ამ ინტერესის გამო აუტანელიც ავიტანოთ.

პოლიტიკოსებს კი ვთხოვდი, ზოგიერთმა ერეგირებული პოლიტიკური ვნებები ჩაიცხროს, ზოგიერთი კი მყუდრო ჩარჩოში მოქცეული რუტინული პროცესების შემოთავაზებას შეეშვას.

მეპროტესტეებს ვურჩევდი, რუტინის მოდუსში არ გადააგდოს პროცესი. გაითვალისწინონ, რომ ამ მოდუსში ივანიშვილის პირისპირ უკვე თავად კი არ იდგებიან, არამედ ისინი, ვინც პროცესზე უფრო კაიფობს, ვიდრე შედეგზე. ვისაც არანაირი შანსი არ აქვს რუტინის დამორჩილების ჩემპიონი ივანიშვილის წინააღმდეგ. ვინც ყველა წინა შემთხვევაში 10:0 წააგო ივანიშვილთან.

ამ პროტესტის ძალა იმაშია, რომ სტრატეგიული საკითხის ირგვლივაა მობილიზებული და არა ტაქტიკური მოსაზრებების. იმაში, რომ სტრატეგიული სიცხადის და სწორხაზოვნების მყარ საფუძველზე დგას და არა ტაქტიკური ბუნდოვანების და „ერთი ადგილის თამაშის“.

ივანიშვილი სტრატეგიული სულელია, მაგრამ ტაქტიკური გენიოსი. ამიტომაც მისი დამარცხება მხოლოდ სტრატეგიულ გაშლილ ველშია შესაძლებელი — მორალური სიცხადის და უპირატესობის პირობებში, ფასეულობების მსახურებით და იდეალიზმის გზით სიარულით, და არა ტაქტიკურ მღვრიე ჭაობში — პოლიტიკური ვაჭრობის და აცაბაცად სიარულის, მორალური „კოჭლობის“ და გვერდიდან შემოცურებული „ახალი თუ ალტერნატიული მოთხოვნების“, დათმობის წითელ თუ მწვანე ხაზების მონიშვნის და ფსევდო კომპრომისებზე წასვლის ვითარებაში.

— ყველა, ვინც 8 მარტის, 19 აპრილის თუ 20 ივნისის შემდგომი შეთანხმებების მარცხს დღემდე არ აღიარებს და საკუთარ სიჯიუტეშია გაჭედილი;

— ყველა, ვინც ამ პროცესებში უპრინციპობის თუ გადაღლილობის გამო დაშვებულ შეცდომებს ვერ ხედავს;

— ყველა, ვისაც გონია, რომ დიპლომატის სიტყვა აქსიომური ჭეშმარიტებაა და სავალდებულოდ შესასრულებელი მაქსიმა;

— ყველა, ვინც პირადი თუ კოლექტიური ინტერესის „შეცურებას“ შეეცდება;

— ყველა, ვინც ასპუნქტიან გეგმაზე სამსჯელოდ ემზადება და დეტალებში გაბნეული ივანიშვილის ეშმაკების გადაყლაპვისთვის არის განწირული;

აი ეს ყველა ან ივანიშვილის სასარგებლო იდიოტია, ან მასთან გარიგებული.

„სალონური“ პროტესტების დრო დასრულდა, თუნდაც 100.000-იანი იყოს!

პროტესტით მოპოვებული გამარჯვების მოლაპარაკებით წაგების უფლება არ გვაქვს!

არც ოპტიმიზმი, არც პესიმიზმი — ჯანსაღი სკეპტიციზმი!

თქვენს ხელშია დიდი ტაქტიკური უპირატესობა და კიდევ უფრო დიდი მორალური უპირატესობა. მაგრამ შესაძლებლობების ბრძოლით მოპოვება და ფლობა, მხოლოდ უფლებებს არ წარმოშობს, მოვალეობებსაც. იმის გააზრება (და უნდა გაიაზროთ!) რომ სამშობლოს მტრის წინაშე დღეს თქვენ წარმოადგენთ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ის დაამარცხოთ — გაკისრებთ ვალდებულებას, ბევრი თქვენგანის ასაკისთვის შეუფერებლად მძიმეს, რომ იმოქმედოთ სწორად და გულწრფელად. გირჩევთ ცივი გონებაც გადადოთ და ცხელი გულიც. მგრძნობიარე გონება და მოფიქრალი გულის პარადოქსული კომბინაციები მუშაობს საუკეთესოდ, როცა სამშობლოსთვის იბრძვი, რადგან სამშობლო არც უსულო კალკულუსია და არც გრძნობამორეული ისტერიკა.

პ.ს. ახლა ვუყურე მამუკა მდინარაძის ბრიფინგს. 2 დაკვირვება:

1. „ტუილი, ტყუილი და პაპიროსი პირში“

2. შიშისგან სახეზე პირცურცლი ედო:))

თქვენი ნიკა 212-ე საკნიდან, — წერს ნიკა გვარამია.

# მიხეილ სააკაშვილი: „ეს ერთობა შესანარჩუნებელია“



„საოცრად ვამაყობ თქვენით... ეს ერთობა შესანარჩუნებელია“ — ასე მიმართავს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 7-8 მარტის აქციების მონაწილეებს და მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება.

— საოცრად ვამაყობ თქვენით, თაობით, რომელსაც მთელი მსოფლიო გულშემატკივრობდა და ელოდებოდა, დაიცავდა თუ არა ქართველი ხალხი ევროპელობას, თუ ურცხვად ჩავყვებოდით მთავრობას რუსულ-აზიურ წყვდიადში და მოხდა მართლა სასწაული, ყველა მოქალაქე, ყველა ახალგაზრდა გადაიქცა თავის თავის პარტიად, რომელსაც არაფრის ახსნა არ დასჭირდა და ზუსტად იცის, თუ როგორ იმოქმედოს და ისტორიის ფურცლებიდან გამოსული უძლეველი მებრძოლები გახდნენ.

ამერიკელი სენატორები და ევროპარლამენტარები, უკრაინაში სანგარში მჯდომი მებრძოლები კი სუნთქვაშეკრული გადევნებენ თვალყურს და ძალიან სასიამოვნოდ განცვიფრებულები არიან. რუსეთის დავალება ვერ შესრულდა, ახლა ფრთხილად უნდა იყოთ ყველანი. ისინი შეეცდებიან შურისძიებას, რათა სათითაოდ დაგიგულონ და შური იძიონ. ამიტომ როგორც არასდროს — ძალა ერთობაშია და ეს ერთობა შესანარჩუნებელია, — წერს მიხეილ სააკაშვილი.

# „დაჟინებით მოვუწოდებთ მმართველ პარტიას, რომ ოფიციალურად უარყოს ეს კანონპროექტები და აღარ მიჰყვეს ამ ტიპის კანონმდებლობას“ — აშშ-ის საელჩო



აშშ-ის საელჩო საქართველოში რუსულ კანონპროექტთან დაკავშირებით მორიგ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ქართველმა ხალხმა აჩვენა, რომ საქართველოს არჩევანი ევროპული მომავალია. დიპლომატიური უწყება მიესალმება გაწვევის გადაწყვეტილებას, თუმცა დაჟინებით მოუწოდებს მმართველ პარტიას, ოფიციალურად უარყოს კანონპროექტები და აღარ მიჰყვეს ამ ტიპის კანონმდებლობას, რომელიც შეუთავსებელია ქართულ და ევროპულ ღირებულებებთან:

— ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ნათლად თქვა, რომ საქართველოს ერთადერთი არჩევანი უსაფრთხო და წარმატებული ევროპული მომავალია. მივესალმებით ქართული ოცნების გადაწყვეტილებას „უცხოური გავლენის“ შესახებ ორივე კანონპროექტის გაწვევასთან დაკავშირებით. დაჟინებით მოვუწოდებთ მმართველ პარტიას, რომ ოფიციალურად უარყოს ეს კანონპროექტები და აღარ მიჰყვეს ამ ტიპის კანონმდებლობას, რომელიც შეუთავსებელია ქართულ და ევროპულ ღირებულებებთან და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვასთან. მოვუწოდებთ საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს, რომ გულწრფელად ერთად იმუშაონ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის სასწრაფოდ საჭირო რეფორმებზე, რაც საქართველოს მოქალაქეების მკაფიო სურვილია, — ნათქვამია საელჩოს განცხადებაში. „ქართულმა ოცნებამ“ რუსული კანონპროექტების გაწვევისა და პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენისას მისი ჩაგდების გადაწყვეტილების შესახებ განცხადება დღეს დილით გაავრცელა. მოგვიანებით პარტიის ლიდერებმა ამაზე საგანგებო ბრიფინგებზეც ისაუბრეს.

# „ამ ხელისუფლებისგან ათასგვარ საშინელებას კიდევ უნდა ველოდოთ“

## მამუკა გიორგაძე: „კანონპროექტის უკან გაწვევა დადებითი მოვლენაა, მაგრამ ხელისუფლებას რომ საკუთარი შეცდომებიც ეღიარებინა, ლამაზი დილა გაგვითენდებოდა“

მარიამ მჭედლიშვილი

მმართველმა პარტიამ „ხალხის ძალასთან“ ერთად განაცხადა, რომ კანონპროექტს „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის“ შესახებ უკან იწვევს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ პროვოკაციული კანონპროექტის (ორი პროექტის) ინიცირებამ და პირველი მოსმენით მიღებამ ქვეყნის შიგნითა და გარეთ არნახული პროტესტი გამოიწვია. საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.



***— „ქართულმა ოცნებამ“, როცა კანონპროექტის გაწვევაზე განცხადება გააკეთა, ისიც აღნიშნა, რომ სიცრუის მანქანამ შეძლო კანონპროექტის უარყოფითად წარმოჩინება. რას იტყვით?***

— თვითონაც ვერ ხვდებიან, რა უაზრობას ამბობენ. ზოგიერთი ქმედებით ანგრევენ სახელმწიფოებრიობას. ეს ადამიანები საკუთარ თავს რიყავენ. როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ, რომ იზოლირებული აღმოჩნდნენ საკუთარი საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისაგან. ისინი მგზნებარედ ლანძღავენ საკუთარ ხალხსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს. გიწვევენ და გეჩხუბებიან. ამით განაჩენი გამოაქვთ საკუთარი თავისთვის. ისინი ბოლშევიკებივით იქცევიან. კანონპროექტი გაიწვიეს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ, შეგვეშალა, რაღაცას ანგარიში ვერ გავუწიეთ ან ვიჩქარეთო. სანამ ძალა არ დაინახეს, ეს ნაბიჯიც არ გადადგეს. ასეთი სიტუაცია, ასეთი პრაქტიკა დამანგრეველი იქნება ქვეყნისათვის.

***— ფიქრობთ, რომ მომავალშიც მიჰქარავენ?***

— ბოლშევიზმი საშიშია. ის სხვა დროს და სხვა რამეშიც გამოვლინდება. ვიხილეთ აქტიური გულწრფელი ახალგაზრდობა, რომელიც გამოვიდა ამ პროექტის წინააღმდეგ. როცა ხელისუფლება მარტო ძალაზე რეაგირებს, მომავალში შეიძლება ანარქიულ ძალებს მიეცეთ განვითარების საშუალება. ბოლშევიკები ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ყველაფერს აკეთებდნენ. „ქართული ოცნებაც“ ასე იქცევა. ლენინი რომ ტერორზე ლაპარაკობდა, ეს უბრალოდ ტერაქტები არ იყო. ბოლშევიკები ატერორებდნენ ყველას, მთელ საზოგადოებას, ეძებდნენ მოწინააღმდეგეებს, „ხალხის მტრებს“.

### „გულანთებულ ახალგაზრდებს პოლიტიკოსებმა ხელი არ უნდა შეუშალონ. მათ უნდა მიეცეთ საშუალება, შექმნან ორგანიზებული ძალა“

***— რუსეთში ახლა მოქმედი „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონითაც უამრავი „მტერი“ გამოავლინეს.***

— რასაკვირველია. რუსეთში რა მოხდა? ჯერ მიიღეს კანონი. ადამიანებს დაარქვეს აგენტები. შემდეგ მიიღეს სხვა ცვლილებები. მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობაში და არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს ამ ხალხს. შემდეგ მიიღეს დამატება, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს აგენტებთან აფილირებულ პირებს. აქაც ეს იყო ჩაფიქრებული.

***— რუსეთში ლექციების წაკითხვაც კი აეკრძალათ „მტრებს“.***

— რა შეზღუდვასაც უნდათ, იმას აწესებენ. საქართველოში ლექციებს ისეთებიც კითხულობენ, რომ სტუდენტებთან შესაშვები არ არიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი კანონი უნდა შემოიღო. ის, რომ კანონპროექტი გაიწვიეს, დადებითი ნაბიჯია. ამას უარყოფით შლეიფად გასდევს ის, რომ არაფრით აღიარებენ შეცდომას.

***— იმასაც ამბობენ, ემოციური ფონი რომ ჩაივლის, საზოგადოებას აუხსნიან, რას ემსახურებოდა ამ კანონის მიღება. ეს ცინიზმია?***

— ცინიზმიცაა და უარესი — ბოლშევიზმია. ბოლშევიკები 1921 წლის 25 თებერვალს იძახდნენ, რომ საქართველო გაათავისუფლეს. ახლა იქნება საქართველო თავისუფალი თავადაზნაურობისა და სამღვდელოებისგანო — ყვიროდნენ.

***— ცნებების აღრევა და ამოყირავება ხდებოდა და ახლაც ამასთან გვაქვს საქმე?***

— დიახ.

***— თქვენი აზრით, ოპონენტებთან ბრძოლის გარდა, კიდევ რა მიზანი ჰქონდა ამ ყველაფერს?***

— მათი მიზანი სანახევროდ მიღწეულია. 8 მარტს ნამდვილად შფოთი იყო ქალაქში. ხელისუფლება არ ატარებს რეფორმებს, ვერ აწყობს დისკუსიებს და მსჯელობას სასამართლო, საარჩევნო, თვითმმართველობის საკითხებზე, თავისუფალი ბიზნესის თემაზე. ამის მაგივრად შემოაქვს ხელოვნური პოლარიზაცია. ასეთ დროს საკუთარი მომხრეების მობილიზაციაც ხდება.

***— შავრაზმული პრორუსული ჯგუფების გააქტიურებაც თვალშისაცემი იყო.***

— ამ ჯგუფებსაც ხომ ხელისუფლება აკონტროლებს. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა ცნობილმა სახეებმაც თავი გამოიდეს. მათ ყველა იცნობს და ისიც ბევრმა იცის, რომ უფულოდ თითს არ გაანძრევენ. ისინი გააქტიურდნენ. ასეთი ხალხი ხელისუფლების დახმარებით დიდ ფულს შოულობს. ეს ადამიანები მზად არიან, კვერი დაუკრან ხელისუფლების ნებისმიერ ინიციატივას და იყვირონ, ჩაქოლეთ, დაარბიეთ ხელისუფლების მოწინააღმდეგეებიო.

***— ხელისუფლებამ ყაველაშვილის პირით ისიც გვითხრა, ასეთი ევროკავშირი არ მინდაო. ამგვარ განცხადებებს მომავალშიც მოვისმენთ?***

— პირდაპირ ნამდვილად არ იტყვიან, რომ ევროკავშირი, ევროპა არ უნდათ. ქართველი ხალხის ეშინიათ და ამას ვერ იზამენ. ასეთი ევროკავშირი არ მინდაო — ალბათ, ისევ ამ სტილში ილაპარაკებენ. ფაქტია, რომ იმათ, ვინც მსგავს განცხადებებს აკეთებს, სათავისოდ ევროპა სწორედაც რომ უნდა. ისინი შვილებს სასწავლებლად ევროპაში აგზავნიან. სავაჭროდ სარატოვში არ დადიან, არც ვორკუტაში ისვენებენ. ტანსაცმელს იაკუტიაში არ ყიდულობენ. იაკუტიაში შეიძლება ფულის საშოვნელად ჩავიდნენ. ანტიდასავლურობა ამ ხალხს იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ მონოპოლიზებულ (პოლიტიკაშიც, ბიზნესშიც) გარემოში კომფორტულად იგრძნონ თავი და დაიცვან საკუთარი ინტერესები.

***— საზოგადოების იმ კატეგორიაზე რას იტყვით, რომელიც ფულს არ შოულობს, მაგრამ რომელსაც რატომღაც ქვეყანაში რეპრესიული რეჟიმი უნდა?***

— ასეთ ადამიანებს, ოთარ ჭილაძისა არ იყოს, მონობა სტაბილურობის გარანტია ჰგონიათ. მათ ეშინიათ თავისუფლების და განვითარებული აქვთ ცხოველური ინსტინქტები. მოსემ ებრაელი ერი ეგვიპტიდან გამოიყვანა. ღმერთი მათ ყველაფერში ხელს უმართავდა, ისინი კი მოთქვამდნენ. მონას წუმპე სამოთხე ჰგონია. გუბეში მჯდარი ბაყაყი ძნელად წარმოიდგენს, რომ არსებობს ოკეანე, რომ არის სუფთა ცივი წყალი, სადაც კალმახები ბინადრობენ. გამიმართლა, რომ პატარაობიდან მქონდა ურთიერთობა საოცარ ადამიანებთან, რომლებიც მოესწრნენ თავისუფალ საქართველოს. მათ ჰქონდათ თავისუფლების გრძნობა, თავისუფლების სიყვარული, რომელიც ყველაფერში იგრძნობოდა. ახლა ზოგ ადამიანს თავისუფლება ემწარება. მინდა ორიოდე სიტყვა იმ ოპოზიციაზეც ვთქვა, რომელიც წინა პლანზე იმყოფება. ხელისუფლება და ეს ოპოზიცია ერთად ქმნიან ქაოსს ქვეყანაში. ჩემი ბიოგრაფიის კაცს რადიკალიზმი არ უნდა უკვირდეს. რადიკალიზმი არც მაოცებს, მაგრამ ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი ყველა ზღვარს გადავიდა და პროვოკაციული მოქმედება ჩაიდინა. გვარების დასახელება საჭირო არ არის. ჩემი თაობის ხალხი გულანთებულები ვიყავით. შემდგომში ბევრს იმედი გაუწბილდა. ასეთივე გულმხურვალე და პატრიოტი ახალგაზრდობა დავინახეთ 8 მარტის აქციაზე. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ მათაც გაუცრუვდეთ იმედი. გულანთებულ ახალგაზრდებს პოლიტიკოსებმა ხელი არ უნდა შეუშალონ. მათ უნდა მიეცეთ საშუალება, შექმნან ორგანიზებული ძალა. ამ ხელისუფლებისგან ათასგვარ საშინელებას უნდა ველოდეთ და მათ დიდი საქმეები ელით. ბოლოს მინდა ვთქვა — კანონპროექტის გაწვევა დადებითი მოვლენაა, მაგრამ ხელისუფლებას საკუთარი შეცდომებიც რომ ეღიარებინა, „ბლატაობა“ რომ არ გაეგრძელებინა, ვიტყოდით, რომ ლამაზი დილა გაგვითენდა.

# სალომე ზურაბიშვილი: „ნუ გეშინიათ, რას იზამენ, ნებისმიერ კანონს, რომელიც არ იქნება თანხვედრაში ევროპულ გზასთან, დავადებ ვეტოს“

— გასაგებია, რატომაც არის უნდობლობა ხელისუფლების მიმართ — ნებისმიერ კანონს, რომელიც არ იქნება თანხვედრაში ჩვენს ევროპულ გზასთან, დავადებ ვეტოს, მე ვარ თქვენი იმედით, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სპეციალურ მიმართვაში განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, ეამაყება საქართველოს ახალგაზრდობა და არა მხოლოდ ახალგაზრდობა.

— ნუ გეშინიათ. ხელისუფლების მიმართ არის და გასაგებია რატომაც არის უნდობლობა ამ გზაზე და ნუ გეშინიათ, რას იზამენ, რომელ კანონს შემოიტანენ თუ გაიტანენ — ნებისმიერ კანონს და ეს მე სულ ადრე მქონდა ნათქვამი, რომელიც არ იქნება თანხვედრაში ჩვენს ევროპულ გზასთან, ნებისმიერ კანონს დავადებ ვეტოს და ეს ვეტო უკვე აღარაა ცარიელი ვეტო, რადგანაც ამ ვეტოს უკან დგახართ თქვენ, და მე ვარ თქვენი იმედით, თქვენ თუ ხართ ჩემი იმედით, მე ნამდვილად მაქვს თქვენი იმედი. მეამაყება საქართველოს ახალგაზრდობა და არა მხოლოდ ახალგაზრდობა. მეამაყება ყველა ის ადამიანი, რომელიც გამოვიდა, რომელმაც გამოხატა თავისი ნება და თავისი ევროპულობა. ეს არაა პირველად საქართველოს ისტორიაში და ეს არის ის, რითაც ჩვენ სწორედ მოვდივართ და რატომღაც ჩვენ აქ ვართ, სადაც ვართ და მივაღწიეთ ამდენს.

მე აქ ვარ ამერიკაში და მექნება კიდევ მნიშვნელოვანი შეხვედრები და არა მხოლოდ აქ. იმიტომ, რომ დღეს საჭიროა, რომ ჩვენ გავამაგროთ ჩვენი პოზიციები და ამ პოზიციების გამაგრებაში თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები ძალიან მნიშვნელოვანია და ეს უნდა გავაჟღერო და მივიტანო ყველგან, ყველა ჩვენს პარტნიორთან, რომ ჩვენ მათ გავაგებინოთ, რომ ახლა მათი სტრატეგიული გადაწყვეტილება უნდა იყოს საქართველოს სასარგებლოდ, რადგან საქართველომ დაანახა, სად დგას, რა უნდა და ამაში არავის არ შეიძლება ეჭვი შეეპაროს. კიდევ ერთხელ, მეამაყებით. თქვენ გვაჩვენეთ დეპოლარიზაცია, პირველი ნაწილი რეკომენდაციების ამით შესრულებულია. ხელისუფლებამ არ გაბედოს და არ სცადოს კიდევ პოლარიზაცია შემოიტანოს ამ დაწყნარებულ საზოგადოებაში, რომელმაც იცის, სად მიდის, საითკენ მიდის და როგორ უნდა წავიდეს.

მე ვარ თქვენ გვერდით და ვიქნები თქვენ გვერდით! — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# მიხაილო პოდოლიაკი: „არ შეიძლება ევროპისკენ სვლა, მაგრამ რუსეთისკენ ყურება — საქართველო აუცილებლად იქნება თავისუფალი და ევროპული!“



— არ შეიძლება ევროპისკენ სვლა, მაგრამ რუსეთისკენ ყურება, — ასე ეხმაურება უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი, მიხაილო პოდოლიაკი საქართველოში „უცხოური აგენტების“ კანონპროექტების მიერ გამოწვეულ პროტესტს.

— არ შეიძლება „უცხო აგენტების“ რეპრესიული კანონების მიღება, ან თავისუფლების მსურველი მოქალაქეების ცემა, ან ევროპისკენ სვლა, მაგრამ რუსეთისკენ ყურება. არ შეიძლება შენი პრეზიდენტის ნელ-ნელა ციხეში მოკვლა... და, რაც მთავარია, არასდროს არ შეიძლება უსმენდე რუსეთს. საქართველო აუცილებლად იქნება თავისუფალი და ევროპული! — წერს პოდოლიაკი.

# ზელენსკიმ საქართველოს მოსახლეობას მიმართა



საქართველოში მიმდინარე გამოსვლებს გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი. მან განაცხადა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს მხარს უჭერს.

— მსურს მადლობა გადავუხადო მოძმე ქართველ ხალხს, მათ, ვინც ახლა თავისუფლებისათვის იბრძვის, ვისაც უკრაინის დროშები ეჭირა, უკრაინის ჰიმნს მღეროდა! მინდა მადლობა გადავუხადო იმ ქართველ მწერლებს და ჟურნალისტებს, რომლებიც უკრაინულ მოვლენებს აშუქებენ, აცნობენ საქართველოს ჩვენს გმირულ წარსულს და ჩვენი ეროვნული გმირების შესახებ უამბობენ, — თქვა ზელენსკიმ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს მთელი უკრაინა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს:

— ყველა უკრაინელი, განურჩევლად პარტიულობისა თუ პოლიტიკური შეხედულებისა, ახლა საქართველოზე ლოცულობს, — თქვა ზელენსკიმ.

## საინფორმაციო ომი უკრაინის წინააღმდეგ

რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს განაგრძობს. ასე, მაგალითად, დასავლურ მედიაში მოხვდა „ინფორმაცია“, რომლის თანახმადაც გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ თურმე ერთ-ერთი უკრაინელი ოლიგარქის ბრძანებით ააფეთქეს.

აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ აღნიშნული ფაქტის გარშემო სპეციალური კვლევა ჩაატარა. მან დაადასტურა, რომ ასეთი უკრაინელი ოლიგარქი არ არსებობდა. სინამდვილეში რუსებმა მორიგი დეზინფორმაცია (რუსი ჩეკისტების ჟარგონზე „დეზა“) გაუშვეს. მისი მიზანი იყო უკრაინული სახელმწიფოს დისკრედიტაცია.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ამერიკელი ანალიტიკოსები, მიმოიხილავენ რა რუსეთ-უკრაინის ომს, აქცენტს აკეთებენ შემდეგზე: რუსებმა ვერც ბახმუტის ალყაში მოქცევა, ვერც რაიმე სტრატეგიული გამარჯვების მიღწევა ვერ მოახერხეს. ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგებია. უკრაინის გენშტაბის ცნობით, ციფრები შემდეგია: ტანკები – 3.441, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.736, არტილერია – 2.465 (+2), ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 254, თვითმფრინავები – 303. განადგურებულია 156.120 ოკუპანტი.

დანაკარგებით გაბოროტებულმა ოკუპანტებმა უკრაინის მთელი ტერიტორიის დაბომბვა გააძლიერეს. დაიბომბა კიევი, ხარკოვი, ნიკოლაევი, ოდესა, ლვოვი, როვნო. ოკუპანტები მიზანმიმართულად ანადგურებენ საცხოვრებელ სახლებს, ენერგოობიექტებს და აშ.

მოამზადა ნიკა თეგზაძე

# „უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ნიადაგზე, ქვეყანაში შემოტანილ იარაღს ეძებდნენ" — ჩხრეკა ბესო გაზდელიანის სახლში

ნაციონალური მოძრაობის წევრი, ბესო გაზდელიანი ამბობს, რომ ჩხრეკისას მის სახლში სამართალდამცავები უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ნიადაგზე ქვეყანაში შემოტანილ იარაღს ეძებდნენ.

გაზდელიანისა და პოლიტიკოსის რამდენიმე ნათესავის სახლში ჩხრეკა დაახლოებით დილის 6-ის ნახევარზე დაიწყო. ბინაში არასრულწლოვანები იმყოფებოდნენ.

— უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ნიადაგზე, ქვეყანაში შემოტანილ იარაღს ეძებდნენ ჩემ სახლში, სადაც პატარა ბავშვებს სძინავთ, ჩემი ძმის სახლი გაუჩხრეკიათ, ჩემი შვილი და ჩემი სიძე, პატარა ბავშვები ჰყავთ, 2 თოთო ბავშვი ჰყავს, თავში იარაღი ჩაარტყეს, ჩემი ბიძაშვილების ოჯახები დააწიოკეს, გაალღვიძეს, გაჩხრიკეს, ეს არის რეპრესიები, რაც ივანიშვილის რეჟიმმა საქართველოში დაიწყო. მე ვფიქრობ, რომ მე არ ვარ დღეს ბოლო, გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ძალიან ბევრ ოჯახში შევარდებიან ასე უკვე ესენი, — თქვა ბესო გაზდელიანმა.



„მთავარი არხის" ჟურნალისტის, ბესო გაზდელიანის და, ნინო გაზდელიანი ამბობს, რომ ჩხრეკა იყო დაშინების მცდელობა. მისი თქმით, სამართალდამცავები ცდილობდნენ ბინებში ეპოვათ ნივთები, რის გამოც შემდეგ მის ძმას მოედავებოდნენ.

ნინო გაზდელიანი ამბობს, რომ ბინაში შესული პირები შეიარაღებულები იყვნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულზე ოფიციალური განცხადება არ გაუვრცელებია.

# ზურაბ ჯაფარიძე და ნიკა მოსიაშვილი ადმინისტრაციული პატიმრობიდან გაათავისუფლეს




„გირჩი — მეტი თავისუფლების" ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე და ამავე პარტიის წევრი ნიკა მოსიაშვილი ადმინისტრაციული პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველი კანონით დადგენილი 48-საათიანი ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის ამოწურვა გახდა.

ზურაბ ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე სასამართლო პროცესი მოსამართლემ 10 მარტის 16:00 საათისთვის ჩანიშნა.

მოსამართლის განმარტებით, ის ჯაფარიძისა და მოსიაშვილის ადვოკატებს დროს აძლევს, რომ საქმის მასალებს გაეცნონ და დამატებითი მტკიცებულებები წარადგინონ.

# „დარტყმის მომენტში რამდენჯერმე გონება დავკარგე... შეთრევის მომენტშიც გვცემეს — ნიკა მოსიაშვილი დაკავების დეტალებზე

— დარტყმის მომენტში რამდენჯერმე გონება დავკარგე... შეთრევის მომენტშიც გვცემეს, — ამის შესახებ გირჩი მეტი თავისუფლების წევრი ნიკა მოსიაშვილი საუბრობს და აქციაზე დაკავების დეტალებს იხსენებს.

ჩემს დაკავებამდე ვესაუბრებოდით სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს და ზოგადად პოლიციელებს მთელი ამ ხნის განმავლობაში. არ ყოფილა არანაირი სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი. ადამიანები, ვილაცები რომ ემოციურად ისვროდნენ აქეთ-იქით ბოთლებს ან რაღაცებს და ყვიროდნენ, ჩვენ, პირიქით, მოვუწოდებდით ადამიანებს, რომ სიმშვიდე შეენარჩუნებინათ. იქ, რაღაც მომენტში, მერე მაგათი ხელმძღვანელი, გენერალი იყო თუ არ ვიცი ვინ იყო, გამოვიდა და გვითხრა, რომ საუბრის უფლება არ გვქონდა და უნდა გავჩუმებულიყავით. ერთ მომენტში მოხდა რაღაცა ესკალაცია. ჩემ წინ ვილაცას დაარტყეს...

ბევრი რაღაც არ მახსოვს, იმიტომ, რომ ამ დარტყმის მომენტში რამდენჯერმე გონება დავკარგე და ეს აღარ მახსოვს. ის მახსოვს, რომ მის წინ გადავედი, მერე შეგვათრიეს იქ. ამ შეთრევის მომენტში ნორმალურად გვცემეს, კარგად. რომ წამოგვაყენეს და ფეხზე როცა დავდექით, იქაც რამდენჯერმე დაგვარტყეს. ამის მერე მე გადამიყვანეს დიღმის სამმართველოში და იმათგან მსგავსი რამ არ ყოფილა, — ამბობს მოსიაშვილი.

# ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არსებულ ფორმატებში — საზოგადოებრივი ორგანიზაციები

საზოგადოებრივი ორგანიზაციები განცხადებას ავრცელებენ და აღნიშნავენ, რომ საქართველოს პარლამენტში რუსული კანონის განხილვა ეროვნული სირცხვილი, ყველა მოქალაქის შეურაცხყოფა და ანტიკონსტიტუციური ნაბიჯი იყო. მათი ინიციატივაა, რომ არსებულ ფორმატებში ხელისუფლებასთან თანამშრომლობა გააჩერონ. მათი თქმით, განცხადება ღიაა ნებისმიერი ორგანიზაციისა და მედიისთვის.



— ამ კანონის პირველი მოსმენით მიღება ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ გადაუხვია ქვეყნის დემოკრატიული და პროდასავლური განვითარების კურსს. დღეს ყველასთვის უფრო მეტად გასაგები გახდა, რას ემსახურება ხელისუფლების და მისი პროპაგანდისტული მედიების მიერ წარმოებული ანტიდასავლური კამპანიები, ევროპული ინსტიტუტების მუდმივი დელეგიტიმაცია, მოძმე უკრაინელი ხალხისადმი არამეგობრული დამოკიდებულება და ამის პარალელურად, რუსეთის დანაშაულებრივი ქმედებებისადმი მკაფიო პოზიციების არქონა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა — მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, კულტურის და სპორტის წარმომადგენლები, მეღვინეები, მეწარმეები, ფერმერები, სტუდენტები და სხვა ჯგუფები დღეს ერთად დგანან ისტორიის სწორ მხარეს.

შესაბამისად, ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები დღეიდან ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არსებულ ფორმატებში, სანამ ხელისუფლება ამ კანონს უკან არ გაიხმობს და არსებითად არ დააბრუნებს ქვეყანას დემოკრატიული და ევროპული განვითარების გზაზე. ჩვენ უარს ვამბობთ, მონაწილეობა მივიღოთ შეხვედრებში ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. არ ვითანამშრომლებთ მათთან სამუშაო ჯგუფებსა და მრჩეველთა საბჭოებში.

დასმენებისა და რეპრესიების ეპოქის დაბრუნების მცდელობების მიუხედავად, ჩვენ გავაგრძელებთ ბავშვების, ქალების, ხანდაზმულების, მშრომელების, შშმ პირებისა და სხვა დაუცველი ჯგუფების უფლებებზე ზრუნვასა და მათ მხარდაჭერას. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას საქართველოს ევროპული მომავლისთვის, — აღნიშნულია განცხადებაში.

# ზუგდიდში პოლიციელი სამორიგეოში გარდაცვლილი იპოვეს




ზუგდიდში, პოლიციელი სამორიგეოში გარდაცვლილი ნახეს. ერთ-ერთი ვერსიით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. არსებული ინფორმაციით, მას ვალი ჰქონდა, ოჯახი და მეგობრები ფსიქიკურ პრობლემებზეც საუბრობენ.

გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.



# ეროვნულმა მუზეუმმა ექსპონატები საცავებში გადაიტანა

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულმა გალერეამ მიიღო გადაწყვეტილება, გამოფენილი ექსპონატები საცავებში გადაეტანა. ამის მიზეზი რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის მონაწილეების მიერ მუზეუმის კარის შემტვრევა გახდა:

— დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის მონაწილეებმა კარი შეამტვრიეს და დაიკავეს გალერეის პირველი საგამოფენო დარბაზი, სადაც განთავსებულია ფიროსმანის მუდმივმოქმედი გამოფენა. საბედნიეროდ, ექსპონატები არ დაზიანებულა, ხოლო აქციის მონაწილეები გაყვანილ იქნენ მომდევნო რამდენიმე წუთში საგამოფენო სივრციდან.

შემთხვევის ადგილზე იყვნენ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე და ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიკა ახალბედაშვილი.

ვინაიდან გალერეის მოცემული სივრცის კარი დაზიანდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფიროსმანის, ზდანევიჩის, ქობულაძის, სიდამონ-ერისთავის ნახატებისა და სხვა ექსპონატების საცავებსა და დაცულ საგამოფენო სივრცეებში დროებით გადატანის შესახებ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# შსს-ს ინფორმაციით, 7-8 მარტს პოლიციამ 133 პირი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 7-8 მარტს პოლიციამ, ჯამში, 133 პირი დააკავა.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფრთხილებისა, აქციის მონაწილეები გასცდნენ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების კანონით დადგენილ ნორმებს. არ ემორჩილებოდნენ სამართალდამცველთა კანონიერ მოთხოვნებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლები 8 მარტს თბილისში, საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიასა და რუსთაველის გამზირზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აქციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით მობილიზებული იყვნენ.

საპროტესტო აქცია რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა.

მოგვიანებით, აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, სიტყვით გამოსვლისას, შეკრებილებს საკანონმდებლო ორგანოს პიკეტირებისკენ მოუწოდა, რის შემდეგაც აქციის მონაწილეებმა მასობრივად დაიწყეს პარლამენტის შესასვლელების ბლოკირება და შენობის პიკეტირება. აქციის მიმდინარეობისას, საპოლიციო ძალები განთავსებული იყო პარლამენტის შენობაში, რათა არ მომხდარიყო სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება აქციის მონაწილეებთან.

მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფრთხილებისა, აქციის მონაწილეები გასცდნენ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების კანონით დადგენილ ნორმებს. არ ემორჩილებოდნენ სამართალდამცველთა კანონიერ მოთხოვნებს. შეკრებილები აგრესიულად იქცეოდნენ და დააზიანეს საკანონმდებლო ორგანოს შენობის გასწვრივ, უსაფრთხოების მიზნით განლაგებული რკინის დამცავი ჯებირები, შესასვლელი კარები, ჩაამსხვრიეს შენობის მინები, რკინის ცხაურები, პარლამენტის შენობასა და ეზოში ისროდნენ ქვებს, სხვადასხვა სახის საგნებსა და პიროტექნიკას, რასაც შესაძლოა გამოეწვია მძიმე შედეგი.

პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და რუსთაველის გამზირზე მყოფი აქციის მონაწილეთა მხრიდან პროტესტის გამოხატვის ფორმებმა თანდათან უკიდურესად ძალადობრივი ხასიათი მიიღო.



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ძალებმა წესრიგის დაცვის მიზნით, სამართალდამრღვევთა ძალადობრივი და აგრესიული ქმედებების აღსაკვეთად, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი იძულების ღონისძიებები და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს.

პოლიციამ არაერთხელ სცადა დაძაბული სიტუაციის განმუხტვა — აგრესიული პირები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან გაარიდა და აქციის მონაწილეებს მშვიდობიანად დაშლისკენ მოუწოდა, თუმცა ისინი კვლავ განაგრძობდნენ ძალადობრივ ქმედებებს და არ ემორჩილებოდნენ სამართალდამცველთა კანონიერ მოთხოვნებს. რუსთაველის გამზირზე შეკრებილებმა დაიწყეს პოლიციელების მიმართულებით ე.წ. მოლოტოვის კოქტეილების, ქვების, ხის ძელების და სხვა საგნების სროლა. აქციის მონაწილეებმა დააზიანეს, ამოატრიალეს და ცეცხლი წაუკიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ რამდენიმე ავტომანქანას, დააზიანეს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ავტობუსი, სახანძრო ავტომანქანა, რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობების ფასადები, ჩაამსხვრიეს ვიტრინები. რუსთაველის გამზირზე შეკრებილებმა დააზიანეს თბილისის მერიის სამსახურების საკუთრებაში არსებული მატერიალური ქონება, მათ შორის, ცეცხლი წაუკიდეს ქუჩაში მდგარ ურნებს, დაამტვრიეს სკამები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები.

აქციის მონაწილეები მთელი ღამის განმავლობაში სხვადასხვა ლოკაციაზე არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და მართლწესრიგს და წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციის თანამშრომლებს.

აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს 10-მდე თანამშრომელმა ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო. დაშავდნენ მოქალაქეებიც.

სამართალდამცველებმა აქციაზე წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტებზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით, 66 პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე მომხდარ სამართალდარღვევებსა და ძალადობრივ ინციდენტებთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით დაიწყო.

საგამოძიებო მოქმედებები ტარდება იმ პირთა დადგენის, იდენტიფიცირებისა და დაკავების მიზნით, რომლებმაც პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიასა და რუსთაველის გამზირზე პოლიციელებზე თავდასხმა და სხვა ძალადობრივი ქმედებები განახორციელეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის 7-8 მარტს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის დროს მომხდარ სამართალდარღვევების ფაქტებზე, კერძოდ, პოლიციელებზე განხორციელებულ თავდასხმის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, ერთი პირი დააკავეს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად კი, ადმინისტრაციული წესით, ჯამში, 133 პირია დაკავებული, — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# აშშ-ის დაზვერვა რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ

უკრაინაში გაჭიანურებულ ომს აშშ-ის სადაზვერვო თანამეგობრობა გამოეხმაურა. ერთობლივ დასკვნაში ნათქვამია:

– ომი გაჭიანურდა. რუსეთის დანაკარგები კოლოსალურია და ამან შესაძლოა ქვეყნის შიგნით პუტინის ავტორიტეტი დასცეს!

მიუხედავად ამისა, ამერიკელი მზვერავები თვლიან, რომ პუტინი დათმობაზე არ წავა. რუსეთის პრეზიდენტი ახალ უკრაინულ მიწებს ვერ დაიპყრობს. შესაძლოა, ბახმუტის აღება მოახერხოს, მაგრამ ეს რუსეთს მხოლოდ ტაქტიკურ გამარჯვებას მოუტანს და არა სტრატეგიულს. მთელი დონბასის და, მით უმეტეს, უკრაინის სამხრეთის ოკუპაცია უახლოეს 1-2 წლის განმავლობაში გამორიცხულა. სამაგიეროდ, დიდია ალბათობა უკრაინელთა წარმატებული კონტრშეტევისა.

– პუტინიც ფსონს ომის გაჭიანურებაზე დადებს! მისი უკანასკნელი იმედი ის, რომ დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა აშშ, უკრაინის დახმარებისაგან დაიქანცება, – თვლიან ამერიკელი ექსპერტები.

პარალელურად პუტინი ჩინეთთან თანამშრომლობის გაზრდას შეეცდება, რათა ამით ამერიკელების შანტაჟი მოახდინოს. ჩინეთთან კავშირების პარალელურად პუტინი აშშ-სთან ვაჭრობასაც შეეცდება.

ამერიკელი მზვერავების აზრით, გამორიცხული არ არის ე.წ. „კონფლიქტის გაყინვის“ მცდელობებიც. რუსეთი შეეცდება დონბასის გარკვეული ნაწილი დაიპყროს და შემდეგ შეეცადოს დასავლეთის დაყოლიებას ომის შეჩერებაზე. ზავი, ბუნებრივია, დროებითი იქნება. პირველსავე ხელსაყრელ სიტუაციაში რუსები შეტევაზე გადავლენ.

# ბახმუტთან უკრაინელი გმირი დმიტრო კოციუბაილო დაიღუპა

ბახმუტისათვის ბრძოლებში დაიღუპა უკრაინული პატრიოტული ორგანიზაციის „მემარჯვენე სექტორტის“ ერთ-ერთი ლიდერი, კაცი-ლეგენდა დმიტრო კოციუბაილო (1996-2023). კოციუბაილო ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა კისერში და გარდაიცვალა.



დმიტრო კოციუბალო დაიბადა ივანო-ფრანკოვსჩინაზე, ეროვნული გმირის სტეპან ბანდერას (1909-1959) სამშობლოში. თავის ინტერვიუებში ის აცხადებდა: ბავშვობიდან ვიცოდი, რომ მე და ბანდერა ერთი კუთხის შვილები ვიყავით და ვოცნებობდი, რომ გავიზრდები და მის საქმეს, ანუ უკრაინის თავისუფლებისათვის ბრძოლას, გავაგრძელებო.

კოციუბაილო სამხატვრო სკოლაში სწავლობდა. როცა დაიწყო ღირსების რევოლუცია, ბიჭმა მხატვრის პროფესიის ათვისებას თავი დაანება და კიევში გაემგზავრა, რათა თავის თანამოძმეებთან ერთად მაიდანზე გამართულ გამოსვლებში მიეღო მონაწილეობა.

როგორც ცნობილია, ღირსების რევოლუცია იანუკოვიჩის პრორუსული რეჟიმის დამარცხებით დამთავრდა. კოციუბაილო აპირებდა მშობლიურ ივანო ფრანკოვსჩინაზე დაბრუნებას. ამ დროს ის ბატალიონ არგოს ვეტერანებს შეხვდა. როგორც ცნობილია, ბატალიონი „არგო“ აფხაზეთში მიმდინარე ომში მონაწილეობდა და ყველა ქართველის სიყვარული დაიმსახურა. კოციუბაილო ვეტერანების ნაამბობს ხარბად უსმენდა:

– აფსუს, რომ იქ არ ვიყავი! – განაცხადა მან გულწრფელად.

– არა უშავს! ბრძოლას მოესწრები! – მიუგეს პასუხად.

მალე რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო. ყირიმის ანექსიას ოდესის პროვოკაცია და დონბასის სისხლისღვრა მოჰყვა. კოციუბაილოც შინ აღარ დაბრუნდა და ფრონტზე მოხალისედ წავიდა.

თავდაპირველად ომი ე.წ. „ჰიბრიდულ ხასიათს“ ატარებდა. იმ ხანად უკრაინას სრულფასოვანი არმია არ ჰყავდა. ქვეყანაც ფაქტიურად მოხალისეების იმედზე იყო. მათ შორის დმიტრო კოციუბაილო თვალსაჩინო როლს ასრულებდა. ხატვით გატაცებული დმიტრო ახლა ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. ის იმ მცირერიცხოვანთა შორის იყო, რომლებმაც უკრაინის გმირის წოდება ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაიმსახურა.

ჰიბრიდულ ომში მარცხმა პუტინი ვერ შეაჩერა. 2022 წლის თებერვალში მან უკრაინაში ჯარი შეიყვანა. ასე დაიწყო ფართომასშტაბიანი რუსეთ-უკრაინის ომი.

კოციუბაილო კვლავ ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. თავისი ვაჟკაცობისა და თავდადების გამო მან სიცოცხლეში უკრაინის გმირის ტიტული დაიმსახურა. ამის შემდეგ ის მიავლინეს ფრონტის ყველაზე მძიმე უბანზე, ბახმუტში, სადაც გმირულად დაიღუპა.

მოვა დრო და რუსეთ-უკრაინის ომი უკრაინის გამარჯვებით დამთავრდება. დმიტრო კოციუბაილოზეც გადაიღებენ ფილმებს, დადგამენ პიესებს, დაწერენ რომანებს, მოთხრობებს. გმირები არ კვდებიანო, ნათქვამია. დმიტრო კოციუბაილოს სახელიც უკვდავია.

# რუსმა ოკუპანტებმა მდინარე ბახმუტკას აღმოსავლეთ სანაპირო დაიკავეს

უკრაინელებმა შეძლეს ბახმუტის დასავლეთით რუსების შეჩერება. ოკუპანტებმა დიდძალი სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა დაკარგეს.

– ის, რომ ოკუპანტები ზარალს განიცდიან, უკვე უდიდესი წარმატებაა, – ამბობს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი.

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლებია. ავდეევკასთან უკრაინელებმა ოკუპანტების შეტევები მოიგერიეს. რუსები კვლავ შეეცადნენ ავდეევკის ალყაში მოქცევას, რაც ჩაიშალა.

გააფთრებული ბრძოლებია მარინკასთან. ოკუპანტებმა მარინკის აღება ვერ შეძლეს და ცდილობდნენ მისთვის ფლანგებიდან შემოეარათ. მცდელობა ჩაიშალა. უკრაინელები მარინკის უმეტეს ნაწილზე კონტროლს ინარჩუნებენ.

რაც შეეხება სვატოვო-კრემენოეს, აქ რუსებმა შეტევის განხორციელება კვლავ სცადეს. უკრაინელებმა ის მოიგერიეს. ოკუპანტები იძულებულნი გახდნენ საწყის პოზიციებზე დაეხიათ. რაც შეეხება ზაპოროჟიე-ხერსნის ოლქებს, აქ ვითარება არ შეცვლილა და პოზიციური ბრძოლები გრძელდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# თბილისის დინამო ერთპიროვნული ლიდერია

გაიმართა ეროვნული ლიგის მესამე ტური, რომელშიც გაირკვა, რომ ერთხელისუფლებიანობა დამყარდა.

## გაგრა-დინამო (თბ) 3:5

**თბილისი. ილია კოკაია**

**0:1 იმრანი (9), 1:1 მარკონდელი (39), 1:2 კამარა (43), 1:3 მარუშიჩი (46), 1:4 ლაცაბიძე (48ავ), 1:5 კამარა (56), 2:5, 3:5 შონია (74, 82)**

**გაგრა:** ვორობეი, ლ.ნოზაძე, კაკუბავა, ჯანგიძე (შონია 59), ხოსიტაშვილი, კაკაშვილი (შეწირული 49), სულთანიშვილი, გ.ლაცაბიძე, ლომთაძე (ჩაგანავა 69), მარკონდელე (ნემსაძე 69), მუსელიანი (ბუტრიფი 69)

**დინამო:** კუტალაძე, მალი (მაისურაძე 56), ნზაბა (ხვადაგიანი 18), ტაბიძე, კობოური, სიგუა, მექვაბიშვილი (ოსიყმაშვილი 56), თ.კირკიტაძე (ხარაიშვილი 46), იმრანი, კამარა (სხირტლაძე 58), მარუშიჩი

დინამო თბილისს 3 ტურში უკვე 11 გოლი მოუგროვდა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა 5:3 მოუგო გაგრას. დინამოელები ძლიერი დარტყმით ულად-ომარ იმრანმა დააწინაურა. ტაიმის ბოლოს ბრაზილიელმა მათეუს მარკონდელემ გაათანაბრა, მაგრამ მალევე უსმანე კამარამ ისევ წინ გაიყვანა დინამო.

მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში ჩემპიონმა სამი გოლი გაიტანა. ჯერ ზორან მარუშიჩმა შეაგდო, შემდეგ გიორგი ლაცაბიძემ ავტოგოლი მიითვალა, და ისევ უსმანე კამარამ.

გაგრამ მხოლოდ ამის შემდეგ გამოასწორა თამაში და გამოცდილმა თემურ შონიამ ორი ლამაზი გოლი გაიტანა.

თუმცა, ეს იყო, და ეს... დინამო უდანაკარგოდ ლიდერობს ჩემპიონატს.

## სამგურალი-თელავი 1:0

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

**1:0 კალანდარიშვილი (41)**

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, ბურჯანაძე, მაისაშვილი, ბული, ლომინაძე (მ.ბაშელეიშვილი 46), არტური, ნ.ხორხელი (ს.კუხიანიძე 46), ჩიხლაძე (ლ.ხორხელი 58), კალანდარიშვილი, ნიქაბაძე (ჩიხრაძე 58)

**თელავი:** თანდილაშვილი, ჟივიძე, გიგაშვილი, ვ.ფაცაცია, კრისტიანი, ქოჩლაძე (ყაველაშვილი 69), ვიტინიო (ცნობილაძე 58), ჯიქია (მუჯირი 69), ყიფიანი, ლ.კოხრეიძე (აშორტია 58), პარკინაშვილი (ფირანაშვილი 46)

წყალტუბოელებმა ნიკა კალანდარიშვილის გოლით მოუგეს კახელებს. თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებას, ეს სამგურალი იყო. წყალტუბოელებმა რამდენიმე კარგი მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ გოლით მხოლოდ ერთი დასრულდა.

შესანიშნავად ითამაშა თელაველთა მეკარე თანდილაშვილმა, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.

სამგურალს 6 ქულა აქვს, თელაველებს კი, ერთი ქულა დარჩათ და ჯერ გოლი არ გაუტანიათ.

## საბურთალო-შუქურა 2:1

**რუსთავი. სფფ-ს ტექნიკური ცენტრი**

**1:0 სილაგაძე (8), 1:1 ჯანელიძე (27), 2:1 სიხარულიძე (32)**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ი.გელაშვილი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, შ.ნონიკაშვილი (ქარდავა 55), ლ.ნონიკაშვილი (ციცქიშვილი 73), პარუნაშვილი (ო.მამაგეიშვილი 64), გ.მამაგეიშვილი (ტაბატაძე 73), სილაგაძე, სიხარულიძე (სილა 64)

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა, ჩაკვეტაძე, ლ.ქურდაძე, კუროკი, ანანიძე (გოგოლაშვილი 46), ჯანელიძე, ანდრონიკაშვილი, ც.ფაცაცია (ვერულიძე 83), მზვაკალი (კვარაცხელია 83), სარდალიშვილი

ომარ თეთრაძემ საქართველოში მწვრთნელის რანგში პირველი მატჩი მოიგო.

სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა: საბურთალო ლუკა სილაგაძემ დააწინაურა საჯარიმოს გარედან დარტყმით. საპასუხო ბურთი გიორგი ჯანელიძემ გაიტანა, ხოლო 32-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ ახლოდან დასწრებაზე ითამაშა კარგად და 2:1.

საინტერესო ფაქტი: შუქურას სამივე შეხვედრა 2:1 დასრულდა – ორი წააგეს, ერთი მოიგეს...

## სამტრედია-ტორპედო 0:2

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**0:1 არაბიძე (33), 0:2 კაჭარავა (66)**

**სამტრედია:** ბურიჩენკოვი, აბულაძე, კილასონია, მირცხულავა (რობაქიძე 68), უბილავა (ბოჭორიშვილი 68), ხაიბულაევი (ჩარგეიშვილი 78), ოლატუნჯი, გვიშიანი, ჩიტაიშვილი (ჩამბა 68), ნაჭყებია, ინჯგია (დ.კირკიტაძე 82)

**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი, მონტეირო, სანდოხაძე, ქობულაძე, ნეტო (შულაია 74), გიგაური (ბულრიძე 82), სამურკასოვი (მანჯგალაძე 64), არაბიძე, ფელაი (შერგელაშვილი 64), კაჭარავა (კაბალიერო 74)

ქუთაისელებმა ორივე გოლი სტანდარტულების მერე გაიტანეს, ორჯერვე მარჯვენა ფლანგიდან.

33-ე წუთზე გიორგი არაბიძემ გახსნა ანგარიში, როდესაც ფლანგიდან ჯარიმა, ჩაწოდების ნაცვლად, პირდაპირ კარში გაუშვა. ბურთი გზად მცველსაც შეეხო და... მეორე ტაიმის შუაში კი, ჯარიმის ჩაწოდების შემდეგ, ბურთი მეკარემ მოიგერია, ნიკა კაჭარავამ ახლოდან დასწრებაზე ითამაშა. 2015 წლის შემდეგ, ეს კაჭარავას პირველი გოლია ეროვნულ ლიგაში.

ტორპედოს გოლი ჯერ არ გაუშვია. რაც შეეხება სამტრედიას, პირველი მოგების მერე ზედიზედ ორჯერ წააგეს და ჯამში 6 გოლი გაუშვეს.

## დილა-დინამო (ბთ) 1:1

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 გეილი (3), 1:1 მამუჩაშვილი (74)**

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ძოწენიძე, ზ.თევზაძე, სილვა, სანტოსი (ეტოუ 15), ჟან ვიქტორი, გომისი (გაფრინდაშვილი 66), ფარულავა, გეილი (ასამოა 90), მახარობლიძე (ცეცხლაძე 66)

**დინამო:** ჩიჩკანი, ჩაბრაძე, მ.კობახიძე, რეხვიაშვილი, გიორბელიძე (ღუდუშაური 46), ლიტვინენკო (ტეიდი 60), ალთუნაშვილი, მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (ზარია 68),

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 2. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 3. დრამატული ნაწარმოები; 4. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 7. რომან „მამის მკვლელის“ პერსონაჟი; 9. ჟოკეის წკეპლა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 15. საადგილმამულო, საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 17. ულტრა-ნაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. ძველებური კაჟიანი თოფი.

**თარაზულად:** 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 6. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. ქართული ძილისპირული; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. ტყვიის შემცველი მაღალხარისხოვანი ოპტიკური მინა; 13. იტალიური ლიქიორი; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა ზედაპირზე დასმული ხარისხის აღმნიშვნელი დამღა; 21. სხვადასხვა კლასის ვაგონებისგან შედგენილი სამგზავრო მატარებელი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. საბჭოთა ბელადი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კეტჩერი; 2. საქაროზა; 3. მიშელი; 4. რეალი; 5. ტაბლოიდი; 8. ბარაკონი; 12. ფსოუ; 13. პენელოპა; 14. დილეგი; 16. ბაბაჭუა; 18. ბონდი; 20. დუდა.

**თარაზულად:** 6. პერკუსია; 7. ბაიადერა; 8. ბაზაზი; 9. კელია; 10. მოკასინი; 11. პარფორსი; 15. დენონსაცია; 17. მუთაქა; 19. განდაგანა; 21. ფორმანი; 22. ბახტრიონი; 23. კამბულა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რეფლექსი; 2. ვისლა; 3. კვარიათი; 4. რიკოთი; 7. კრიკი; 9. მძივი; 12. ტროგლოდიტი; 14. საფარა; 15. შუშპარი; 17. სორბონა; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. ჩეფერინი; 6. ნოვრუზი; 8. კალგარი; 10. მუკუზანი; 11. ქსენძი; 13. შეიკერი; 16. ციციპარი; 18. კოალა; 19. აშარი; 21. იბერია; 22. არსენალი; 23. მაგნატი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნოდარ მურღულიას ხსოვნას



**ნოდარ!** სამეგობროს უსაყვარლესო პიროვნებავ, ძალიან დამაკლდი.

ჩემთვის უცნობი, კაბინეტში შემოხვედი და მე მიკითხე, შემომთავაზე, ცოტა უხეშად, გარეთ, მანქანაში გვესაუბრა. ოთხნი იყავით, საქმეს „მირჩევდით". რამდენიმე საათის საუბრის შემდეგ შენ სამივე განზე გასწიე და მართალი კაცის მხარეს დადექი. ეს 60 წლის წინათ მოხდა, ჩემზე უფროსი ხნით, ერთი დღე არ მომშორებიხარ, კაცობას მასწავლიდი.

... ჩემი მეგობრის, რუსი გენერლის შვილის, ჩემი ნათლულის დაბადების დრომდე ორიოდე დღე იყო დარჩენილი, ულან-უდეში უნდა გავფრენილიყავი მისალოცად, თან საჩუქარიც ნაყიდი მქონდა. საშინელი გრიპი ამეკიდა, სანახავად მოსულს შეგჩივლე, ძალიან განვიცდიდი წაუსვლელობას. საჩუქარი მანახეო, მითხარი... სოხუმიდან ულან-უდეში თვითმფრინავი მოსკოვის გავლით მიფრინავდა მხოლოდ, შენ სასწაული ჩაიდინე, საჩუქარი ჩუმად წაგილია, ულან-უდეში გაფრენილხარ და ჩემი სახელით ნათლულისთვის გადაგიცია.

... აფხაზეთის სამხედრო ვაჭრობის უფროსად ვმუშაობდი, გაგრიდან ვლადიმერ (სიომა) ბარქაია მეწვია, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი, თავის მწვრთნელ-მრჩევლებიანად ორმოცი კაცით ერთ კვირაში ჩამოვლენ, რაციონში შავი ხიზილალა უწერიათო და 12 კგ. მთხოვა, შენ მდგომარეობიდან გამომიყვანე, ძალიან შორს აღმოსავლეთში გაფრინდი, საჭიროზე მეტი ჩამოიტანე და სიომასთან არ დამაღალატე.

... ლვოვში ვართ მე და შენ უკრაინელ მეგობრებთან აგარაკზე, იმ დღეს რომ არ წამოვსულიყავით, პატრონს შეგნებულად ძაღლი აუშვია ეზოში და სამსახურში წასულა, სანამ დაგვირეკავდა და გაგვაფრთხილებდა, მე ეზოში გამოვედი და ძაღლმა დამკბინა, შენ ძალიან შეწუხდი, ბარემ მეც მიკბინოსო, გამოსულხარ გარეთ, მაგრამ ძაღლმა შენ არ გიკბინა.

ესენი იმიტომ მომაგონდა, რომ შენ სხვისი ჭირისა და ლხინის უზომოდ გაზიარება გჩვეოდა.

... გზაზე სკოლაში მიმავალი შენი ძმისშვილი ელისო შემხვდა, ძალიან ლამაზი ბავშვი იყო (ახლაც ლამაზი ქალბატონია). მომეწონა ძალიან და გავიფიქრე, ჩემს შვილს შევახვედრებ, მშვენიერი წყვილი იქნებიან, თანაც ოჯახებს მაინც გვიყვარდა ერთმანეთი. შენ გაგიმხილე... პასუხი... ძმისშვილები ერთმანეთზე არ ქორწინდებიანო. მორჩა, ჩემი უფროსი ძმა იყავი, ვინ გაგიბედავდა საუბრის გაგრძელებას.

... გაგანია ომი მიდის აფხაზებთან, შენი შვილი მერაბი, მიუხედავად პატარა ასაკისა, ომის დაწყებიდან დამთავრებამდე მისი მონაწილე იყო. იმ დღეს შრომასთან მტერი ჩასაფრებულა, უთანასწორო ბრძოლა გაუმართავთ. მტერი ცოცხალი არ გაუშვიათ, მაგრამ მერაბის ერთი მეგობარიც დაღუპულა, ღამე სახლში არ მოსული, ძლივს გადარჩენილი მერაბი და დანარჩენი მეგობრები სამშვიდობოს გამოსულან. შენ რომ გაიგე, წუწუნი კი არ დაგიწყია, სად მიდიოდი, სახლში დატეულიყავიო, პირიქით... მტერს ზურგი არასდროს უჩვენოო, დაარიგე შვილი.

**ნოდარ!** საამაყო მეგობარი იყავი ჩემი. წლების განმავლობაში სოხუმის №3 პურის ქარხნის დირექტორი, „აფხაზპურის" გენერალური დირექტორის მოადგილე, შ.პ.ს. წარმოება „კოლოსის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ომის დროს სოხუმში, საკვებწარმოების თითქმის ყველა ობიექტი დაიხურა, შენი „კოლოსი" კი სოხუმის დატოვების ბოლო დღემდე მუშაობდა, აპურებდა ქალაქის უპურო მოსახლეობას.

**ნოდარ!** ამას წინათ პურპროდუქტების მინისტრის ყოფილ მოადგილე იური ოსიპოვსა და პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძესთან საუბარში გაგიხსენეთ, მითხრეს, აფხაზეთში საქმიანი თუ სტუმრად ჩამოსვლისას, მარტო ნოდარი იყო ჩვენი პატრონიო... გამეხარდა.

**ნოდარ!** თითქმის ყოველ ღამე, გვიანობამდე შენზე ფიქრში ვარ, მაგრამ ძილის დროს სიზმრად არასდროს მეჩვენები. რატომ?

ორი-სამი დღის შემდეგ ზეცაში ამაღლდები, დამიძახე, როცა მოგენატრები.

*ნოდარი ხასაია*

# საქართველომ მონტენეგროსთან 8 წამში წააგო

**მონტენეგრო-საქართველო 13:12**

(1:3; 5:5; 3:0; 4:4)

დაიწყო წყალბურთელთა მსოფლიოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი და ფინალში გასასვლელი 6 საგზურისთვის ბრძოლაში 12 ნაკრები ჩაება. ისინი წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ.

ბ ჯგუფშია საქართველო, რომელმაც პირველი მატჩი ჯგუფის მასპინძელ მონტენეგროსთან გამართა. მატჩის ფავორიტად, ცხადია, მეტოქე მიიჩნეოდა, მაგრამ დეიან სტანოიევიჩის შეგირდებმა შესანიშნავად ითამაშეს და ცოტა რომ გამართლებოდათ, იქნებ ხელი ქულისთვისაც კი გამოეკრათ.

პირველი პერიოდი საქართველოს ნაკრების უპირატესობით წარიმართა. მეორე წუთზე სტუმრების მორიგი იერიში ელაჩამ დააგვირგვინა და საქართველოს ნაკრები დააწინაურა. ბოლო სამ წუთში მონტენეგრომ ანგარიში გაათანაბრა, რასაც ერთ გოლს ვასიჩისა და იმნაიშვილის გოლები მოჰყვა.

მეორე პერიოდი თანაბარ ბრძოლაში გაილია და ფრედ – 5:5 დასრულდა. ერთადერთი მეოთხედი, რომელიც აშკარად ჩაგვივარდა, მესამე იყო. ჩვენმა გუნდმა გოლის გატანა ვერ მოახერხა, მეტოქემ კი სამჯერ მოახერხა და დასკვნით პერიოდს ჩამორჩენით შევხვდით.

საქართველოს ნაკრებმა მოახერხა და თამაში რამდენჯერმე გაათანაბრა, საფინალო სასტვენამდე 8 წამით ადრე კი ჯურო რადოვიჩის მიერ შეგდებულმა ბურთმა მონტენეგროელებს გამარჯვება მოუტანა – 13:12.

# სათასო ბატალიებში თსუ და ბათუმი დაწინაურდნენ

კალათბურთში თასის გათამაშების მეოთხედფინალური სერიები დაიწყო. ქუთაისსა და თბილისში 2 მატჩი გაიმართა, რომლებიც საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა.

თასის გათამაშებაში ფლეი ოფის რაუნდები 2-მატჩიანია და გამარჯვებული ქულების საერთო შეფარდებით ვლინდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთავის შეხვედრა დიღმის დარბაზში გაიმართა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა უნივერსიტეტელებმა შეხვედრა 90:82 მოიგეს და საპასუხო მატჩში თუ 8 ქულაზე ნაკლებით წააგეს (ან ნებისმიერი ანგარიშით მოიგეს), შემდეგ ეტაპზე გავლენ.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე გამოდგა. თავდაპირველად რუსთავი დაწინაურდა. თუმცა, თსუ-ს არ გასჭირვებია თამაშის გარდატეხა და გააზრებული შეტევებითა და კარგი დაცვით საწადელს მიაღწია. რაც მიხეილ ბერიშვილისა და ჯიმონ ჰენსონის მექულეობის, ასევე გიორგი ცინცაძის „დირიჟორობის" დამსახურებაა.



მეორე პერიოდის მიწურულს, თამაშის მე-18 წუთზე, მიხეილ ბერიშვილის სამქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა – 42:42. დიდი შესვენებისთვის უნივერსიტეტელებმა 5 ქულამდე გაზარდეს უპირატესობა და მეორე ნახევრიდან უფრო სოლიდურ ლიდერობას დაეპატრონნენ.

თსუ-ს უპირატესობამ 16 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც რუსთავმა თამაშის გადარჩენაზე იწყო ზრუნვა. თასის გათამაშების სერიაში პირველი მატჩის წაგება რეალურად წაგებას არ ნიშნავს. მთავარი მნიშვნელობა სხვაობას ენიჭება, რადგან რამდენსაც წააგებ, საპასუხო მატჩში იმდენი ქულა გექნება ამოსაღები. ამიტომაც, რუსთაველებმა ჩამორჩენის გაბათილებაზე იწყეს ზრუნვა, რაც ნაწილობრივ გამოუვიდათ. ლუკა ბულაშვილის, ტრეი კროფტისა და რევაზ როგავას შედეგიანობით ქვემოქართლელებმა ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ დარჩენილ 2 წუთში კიდევ 4 ქულით მეტი მიიღეს და საბოლოოდ 82:90 წააგეს. ეს ნიშნავს, რომ რუსთავში გასამართ საპასუხო მატჩში მასპინძლებს 9 ქულით გამარჯვება სჭირდებათ, ოთხთა ფინალში რომ გავიდნენ. თუკი რუსთავი 8 ქულით იმარჯვებს, დამატებითი 5-წუთეული დაინიშნება.

მეორე მატჩი ქუთაისში გაიმართა, სადაც სათამაშოდ ბათუმი ჩავიდა და მართლაც საარაკო გამარჯვება მოიპოვა. მეორე პერიოდის შუაწელში ზღვისპირელები 20 ქულით აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს – 98:96.

ამ წყვილში ყველაფერი 15 მარტს გადაწყდება, როცა ბათუმი ქუთაისს საპასუხო მატჩში უმასპინძლებს.

# ლიეტუვა დამარცხებულია, წინ ისევ ლიეტუვაა

**საქართველო-ლიეტუვა 32:18**

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე ტურის შეხვედრაში ლიეტუვას უმასპინძლა და დიდი ანგარიშით დაამარცხა – 32:18.

ამ შეხვედრაში დამარცხებული, ფაქტობრივად, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს კარგავდა. შედეგად, მატჩს პრინციპული დატვირთვა ჰქონდა და სპეციალისტები მცირე უპირატესობას სტუმრებს ანიჭებდნენ.

მათმა პროგნოზმა სულ 3 წუთი გასტანა, როდესაც ბალტიისპირელები 3:2 დაწინაურდნენ. ეს იყო და ეს. საქართველომ დაცვა გაამაგრა, მეკარე ზურაბ ცინცაძე საოცრებებს ჩადიოდა და იღებდა ყველაფერს, რაც მის კარში დაარტყეს. შეტევაშიც ხეირიანად ვირჯებოდით და მე-20 წუთისთვის ჩვენი უპირატესობა უკვე ორნიშნა ციფრში გამოიხატა.

აღებული ტემპი ქართველებმა ოდნავ კი დააგდეს, მაგრამ მატჩის მოგება აღარ გასჭირვებიათ.

საქართველოს ნაკრებში გიორგი ცხოვრებაძე (10 ბურთი) და ნიკოლოზ კალანდაძე (7) გამოირჩნენ. თუმცა, საუკეთესო მოთამაშის პრიზი ცინცაძეს ერგო, რომელმაც მართლაც საოცარი მატჩი ჩაატარა.

12 მარტს ეს გუნდები ერთმანეთს ლიეტუვაში შეხვდებიან.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის მე-6 ჯგუფში საქართველო და ლიეტუვას გარდა, უნგრეთისა და შვეიცარიის ნაკრებებიც გამოდიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 77-47 | 4 |
| 2.შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 51-49 | 4 |
| 3.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 79-82 | 2 |
| 4.ლიეტუვა | 3 | 0 | 0 | 3 | 67-95 | 0 |

# თბილისის დინამო ერთპიროვნული ლიდერია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ფლამარიონი, თ.კაპანაძე (ვიდაკოვიჩი 87)

გორში გამართული შეხვედრა 1:1 დასრულდა.

მასპინძლებიდან ტიერი გეილმა გაიტანა... დილას ჯერჯერობით ორი გოლი აქვს და ორივე ბარბადოსელი შემტევის ანგარიშზეა.

74-ე წუთზე კი დინამო ბათუმის ნახევარმცველმა ვლადიმერ მამუჩაშვილმა შორიდან ლამაზი დარტყმით გაათანაბრა.

დილას სამ ტურში ჯერ არ გაუმარჯვია, ხოლო დინამო ბათუმი 7 ქულით მეორე ადგილზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 11-4 | 9 |
| 2.დინამო (ბთ) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3.სამგურალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 4.ტორპედო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| 5.საბურთალო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 6.შუქურა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 7.სამტრედია | 3 | 1 | 0 | 2 | 1-6 | 3 |
| 8.დილა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 9.თელავი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |
| 10.გაგრა | 3 | 0 | 1 | 2 | 6-9 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება აჭარის თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის მომუშავეთა პროფესიული ვაჭრობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის

**ნაზი (ნადეჟდა) ბეჟანიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

10 მარტი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5933

ევრო — 2.7398

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0811

100 რუსული რუბლი — 3.4158

**ამინდის პროგნოზი 10 მარტისათვის**




## მესი: „ბაიერნს ვერაფერი დავუპირისპირეთ“

მიუნხენის ბაიერნმა საკუთარ მოედანზე პსჟ დაამარცხა 2:0 და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა. ბაიერნი მთელი მატჩის მანძილზე დომინირებდა, თუმცა პირველ ტაიმში პსჟ-საც ჰქონდა რამდენიმე მომენტი. მატჩის შემდეგ მესიმ თქვა, რომ ბაიერნმა დამსახურებულად მოიგო და მის გუნდს თითქმის შანსი არ ჰქონდა: „ბაიერნმა გვაჯობა და ეს უნდა ვაღიაროთ. ჩვენ ცუდად არ გვითამაშია და ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა“.

## ოლივიე ჟირუ: „მილანმა მეოთხედფინალში გასვლა დაიმსახურა“




მილანმა სტუმრად ტოტენჰემთან ფრედ 0:0 ითამაშა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა. მატჩის შემდეგ ოლივიე ჟირუმ განაცხადა, რომ მილანმა ტაქტიკურად გამართულად ითამაშა და მათ მიაღწიეს სასურველ შედეგს: „ეს არ იყო ყველაზე ლამაზი შეხვედრა, მაგრამ ჩვენ ვიცოდით რა უნდა გაგვეკეთებინა და საბოლოოდ დასახულ მიზანს მივაღწიეთ. მილანს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა“.

## მარკუს რეშფორდი: „მანჩესტერ იუნაიტედს კრიზისი არ აქვს“

მანჩესტერ იუნატედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერს კრიზისი არ აქვს და ლივერპულთან წაგება მხოლოდ ერთ შეხვედრაში ცუდი თამაში იყო და მეტი არაფერი: „ლივერპულთან რაც მოხდა, ყველა ფეხბურთელმა უნდა დაივიწყოს და ჩვენ მხოლოდ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. წინ ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ტელეფონი რეკავს, ცოლი ყურმილის ასაღებად მივიდა. ქმარი ეუბნება:

– თუ მიკითხეს, სახლში არ ვარ.

– ალო, დიახ, არა, ქმარი სახლშია...

– ხომ გითხარი, რომ თუ მიკითხეს, სახლში არ ვარო...

– შენ არ გკითხულობდნენ...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– მინდა ახალ წელს რაღაც განსაკუთრებულად შევხვდე.

– შეეცადე ფხიზელი შეხვდე.

– არა, ექსტრიმი არ მიზიდავს.

•••

კაცი ბარში შევიდა და ხმამაღლა ამბობს:

– ყველა პოლიტიკოსი ნაძირალაა.

ამ დროს ერთი ტიპი წამოდგა და მუქარით ეუბნება:

– გირჩევნია, შენი სიტყვები უკან წაიღო!

– რატომ, პოლიტიკოსი ხარ?

– არა, ნაძირალა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კახა კინწურაშვილმა „იმედი“ დატოვა



მსახიობმა და ტელეწამყვანმა კახა კინწურაშვილმა ტელეკომპანია „იმედი“ დატოვა.

საკუთარი გადაწყვეტილება „დილის შოუსა“ და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წამყვანმა ერთ-ერთ გამოცემასთან გააჟღერა:

– „იმედიდან“, რეალურად, 1 კვირის წინ წამოვედი, რადგან ეს კანონპროექტი იყო უკანასკნელი წვეთი. ვფიქრობ, ყველა ადამიანს საკუთარი საბრძოლველი აქვს და ამ ბრძოლაში ის ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს, რაც დააგროვა შეგნებითა და გამოცდილებით. არასდროს ვეთანხმებოდი „იმედის“ საინფორმაციო პოლიტიკას და ღიადაც ვაფიქსირებდი ამას, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ღალატს, ეს უკვე აღარაფერში წერია.

## რუსთაველის ეროვნული თეატრის მინები ჩალეწეს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მინები ჩალეწილია და შენობა უხამსი გამოსახულებებით არის მოხატული.

ფოტოები და ინფორმაცია ინტერნეტში რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობმა მანანა აბრამიშვილმა გაავრცელა:

– აი ასე ჩალეწეს გაურკვეველმა არსებებმა რუსთაველის თეატრი! მტრებო! აი ამ ყველაფრის ჩამდენი და მკადრებელი ჩვენი მომავალი თაობა არ არის! სირცხვილი ყველა ახალგაზრდას და მათ მშობლებსაც, ვინც ეგეთებად აღგზარდათ! რა ვანდალიზმიც იყო მთელი ღამის განმავლობაში! სირცხვილი! სირცხვილი! სირცხვილი! მიმიფურთხებია თქვენი აღმზრდელი მშობლებისთვის! ქვეყნის მტრებო!

## „მგზავრებმა“ ალბომის პრეზენტაცია გააუქმა

ჯგუფმა „მგზავრებმა“ ახალი, რიგით მე-8 ალბომის „კამარა“ დაგეგმილი პრეზენტაცია გააუქმა. მისი წარდგინება „თეატრში“ უნდა გამართულიყო.

„თეატრის“ გუნდისა და ჯგუფ „მგზავრების“ ერთობლივი გადაწყვეტილებით, ახალი ალბომის პრეზენტაცია პირველ აპრილს გაიმართება.

## მომღერალ თამაზ სეფერთელაძის შვილი განაწყენებულია



„ცისფერი ტრიოს“ სოლისტის, 74 წლის ასაკში გარდაცვლილი მომღერლის თამაზ სეფერთელაძის შვილი კოკა სეფერთელაძე განაწყენებულია. ხელოვანთან გამომშვიდობება ნებისმიერ მსურველს ქაშუეთის ეკლესიაში შეეძლო, სადაც არც კულტურის მინისტრი და არც თბილისის მერი არ მივიდა:

– განა რა ვერ იმღერა თამაზ სეფერთელაძემ, „ცისფერმა ტრიომ“ ისე, განა რა ვერ მისცა იმდენი ქართულ კულტურას, განა რა ვერ ესიყვარულა თბილისს, რომ კულტურის მინისტრს და თბილისის მერს წუთნახევარი დაეხარჯათ და რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ტაძარში მამაჩემის ხსოვნის პატივსაცემად ერთი წრე დაერტყათ.

სიმართლე გითხრათ, მეწყინა.

## გიორგი ლობჟანიძე ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვს

პოეტი გიორგი ლობჟანიძე საკანონმდებლო ორგანოს ლუსტრაციის კანონის მიღებისკენ მოუწოდებს:

– არ დაუშვათ ერის გახლეჩა! ეს სპექტაკლი უკვე ნანახი მაქვს 90-იანების დასაწყისში და ძალიან კარგად ვიცი, რითიც მთავრდება! საქართველოს მთავრობის მაგვარო, შენ გაქვს პასუხისმგებლობა და მოვალეობები ხალხის წინაშე, ამიტომ პასუხისმგებელიც შენ იქნები იმ შედეგებზე, რაც მიტინგის დარბევას შეიძლება მოჰყვეს! ნუ გადაგვაყოლეთ ვიღაცის ახირებით შეთითხნილ კანონპროექტს. თუ მაინცდამაინც აგენტების გამოვლენა გინდათ, დაიწყეთ ლუსტრაციის კანონის მიღებით! ვიცი, ეს ჩემი სტატუსი არის „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაგრამ იქნებ, ვინმე აღმოჩნდეს გონიერი!

## ნოე სულაბერიძე: „საქართველოს ევროპული მომავალი შეუქცევადია“



ასე მიაჩნია პროდიუსერსა და ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემების „პრაიმ შოუ“ და „ნოესთან“ წამყვანს ნოე სულაბერიძეს:

– საქართველოს ევროპული მომავალი შეუქცევადია და არ მგონია, ამ ქვეყანაში მცხოვრები საღად მოაზროვნე ადამიანი სხვანაირად ფიქრობდეს! ვფიქრობ, რომ თითოეული ჩვენგანის ვალია ყველანაირი რესურსით მაქსიმალურად ხშირად გავაჟღეროთ ეს, რისი შესაძლებლობა მე და ჩემს მეგობრებს, კოლეგებს, ყოველთვის გვაქვს ჩვენს არხზე! ასევე მგონია, რომ ევროპული გზა მნიშვნელოვანია საქმით, რა თქმა უნდა, მათ შორის პროტესტებითაც და არა ერთმანეთის ზიზღით, ჩასაფრებით, მუქარით და ჩაქოლვის მოწოდებით, რაც, სამწუხაროდ, ისტორიულად ყოველთვის იყო წყალგამყოფი ჩვენი მცირერიცხოვანი ერის კეთილდღეობის! უკან მრუდე და მავნე ისტორიულ წარსულში არავის არ გვინდა!

## თბილისი ოფენ ეარი: „თავისუფლება ჩვენი ფესტივალის უპირველესი ღირებულებაა“

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „თბილისი ოფენ ეარი“ აცხადებს, რომ თავისუფლება მათი უპირველესი ღირებულება:




– წელს თბილისი ოფენ ეარი 14 წლის გახდება. ცხადია, ეს ძალიან მცირე მონაკვეთია იმ დროსთან შედარებით, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლაში აქვს გატარებული. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, გარდამტეხი პერიოდია იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც ჩვენთან ერთად გაიზარდნენ და ისევ იმავე ბრძოლაში მყოფი ქვეყნის ახლა უკვე სრულწლოვანი და სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან.

თავისუფლება ჩვენი ფესტივალის უპირველესი ღირებულებაა და ეს მხოლოდ ცარიელი სლოგანი არ არის. დღეს ეს ღირებულებები, რომლებმაც ასე გაგვაერთიანა და დაგვაახლოვა, სერიოზული საფრთხის წინაშეა. მხოლოდ სიკეთისგან და ყოველგვარი ღირებულებებისგან დაცლილ ადამიანებს თუ მოუვათ თავში ამგვარი კანონის შემოღება და თანაც იმ ქვეყანაში, რომელმაც თავისუფლებისთვის ამდენი იბრძოლა და მისი ფასი ყველაზე უკეთ იცის.

ჩვენ და თქვენ, ვინც ეს ფესტივალი ერთად ავაშენეთ, ვიცით, რომ შენება ძნელია და დანგრევა ადვილი, ამისდა მიუხედავად, ჩვენ ვერავინ ვერაფერს წაგვართმევს და დაგვინგრევს. ამ სამარცხვინო ადამიანებმა თავიანთი ჩანაფიქრი ვერ უნდა განახორციელონ და ვერც განახორციელებენ.

## „რა? სად? როდის?“ მოთამაშეები: „ევროინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განუხრელი სურვილია“

აცხადებენ სუპერლიგის მოთამაშეები და ღია წერილს ავრცელებენ, რომელსაც 300-ზე მეტი ხელმოწერა აქვს:

– ჩვენ, „რა? სად? როდის?“ სუპერლიგის მოთამაშეებს მიგვაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე გადის. ევროინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განუხრელი სურვილია, რაც ასახულია კიდეც ქვეყნის კონსტიტუციაში. ვთვლით, რომ ე.წ. „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონპროექტი აზიანებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ამიტომ ვგმობთ პარლამენტის მიერ 7 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას. ჩვენი არჩევანია – ევროპა!

## მსახიობებმა „ახალ თეატრში“ სპექტაკლის ფინალი შეცვალეს

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის სპექტაკლში „მე გადმოვცურავ ზღვას“ მსახიობებმა წარმოდგენის ფინალი შეცვალეს და მაყურებელთან ე.წ. „პაკლონზე“ გამოსვლისას გამოიტანეს ტრანსპარანტი წარწერით „არა რუსულ კანონს!“

რეჟისორ დავით დოიაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლზე მისული მაყურებლები მსახიობების გადაწყვეტილებას შეძახილებითა და აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ევროკავშირისკენ და გმობს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ გზას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 10 მარტისათვის



**ვერძი** – ახალი საქმის დაწყება გაგიჭირდებათ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით და პრიორიტეტები გამოყავით. **კურო** – სურვილი გაქვთ, რაღაც შეცვალოთ, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მცირეოდენი ყურადღება დაუთმეთ ნათესავებსა და ახლობლებსაც. **ტყუპები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ დაწვრილმანდებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **კირჩხიბი** – ცრუ განგაშს არ აჰყვეთ. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე და სიკეთე დღის დევიზია. **ლომი** – წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. მეგობრის რჩევა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. **ქალწული** – ახალი საქმე თქვენგან ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ამიტომ უმჯობესია, თუ ჯერ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. **სასწორი** – ცოტა დაბნეული ხართ. გაარკვიეთ კონფლიქტის მიზეზები და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. წარმატების მიღწევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, მაგრამ მათ გადალახავთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა თქვენი პირდაპირობის გამო გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაგიმწვავდეთ. იყავით დიპლომატიური. **თხის რქა** – ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **მერწყული** – იღბალი თქვენ მხარესაა. გადაწყვეტილების მიღებისას სწორ გზას ადგახართ. **თევზები** – მოტყუების ალბათობა დიდია. ზედმეტი მიმნდობლობა და წინდაუხედაობა დაგაზარალებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უაზრობა, შეუსაბამობა; 2. იოლი, შემოსავლიანი თანამდებობა; 3. პოლონეთში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 4. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 5. ცუდი გუნება-განწყობილება; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 13. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 14. უღელტეხილი საქართველოში; 16. საორკესტრო კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 20. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში.

**თარაზულად:** 6. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 7. ქართველი არქიტექტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე; 8. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 9. ქართული საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 10. ანტისაბჭოთა ნაციონალისტური პარტია აზერბაიჯანში ძველად; 11. ქალაქი ესპანეთში, სადაც ტარდება კორიდის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 15. ყველაზე დიდი შტატი აშშ-ში; 17. საქართველოს გენერალური პროკურორი; 19. ქართველ სახალხო მკურნალთა საგვარეულო; 21. ღვინის დიდი ქვევრი; 22. გადამფრენი ფრინველების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

